პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 121 (18363) კვირა, 23 მაისი, 1982 წელი ფასი 3 კაპ.

სწორი სიტყვის ღირსება!

სიტყვა თუ გულითადია, იგი სწორიც იქნება! სწორი, ანუ მართალი და გზიანი. სწორსიტყვიანობაა მეკვლე მკითხველსა, და გაზეთს შორის, თუ გნებავთ პირიქით: გაზეთსა და მკითხველს შორის. დიდი მანძილი აქვს გასავლელი ამ სიტყვას და არა მხო- ოდ გასაველი, იგი რჩება შთამომავლობას ა დღევანდელი მეკვლე ხვალ უკვე მომაბედ ადაიქცევა. ამიტომ დიდია ყოველი სიტყვის სი, კერძოდ, ბეჭდური სიტყვისა, — ასჯერ აზომილი და აწონილი სიტყვის ყადრი, რო- ლსაც ყველა როდი მიაგებს ჯეროვან პატივს. უ რაოდენ მიზანსწრაფულია სწორი სიტყვა, კიდევ ერთხელ დადასტურდა ამ დღეებში, ოცა მთელმა ჩვენმა ქვეყანამ საზეიმოდ აღ- შნა საბჭოთა პრესის მედროშის გაზეთ რავდის“ 70 წლის თავი.

ჩვენი საუბრის თემა იქნება კულტურის ეროს ზოგიერთი ორგანიზაციის ყურადღება მ მიმართ გაზეთის ფურცლებზე გამოქვე- ბულ კრიტიკულ შენიშვნებზე, მცდრე რე- ლიებსა თუ წერილებზე.

ახლახან საქართველოს სსრ კულტურის სა- ნისტროს კოლეგიამ იმსჯელა სამინისტრო- და მის სისტემაში პრესის, ტელევიზიის რადიოს კრიტიკულ მასალებზე რეაგირების რაქტიკასა და მისი შემდგომი სრულყოფის ონისძიებებზე.

კოლეგიამ აღნიშნა, რომ საქართველოს სსრ, ხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ კულტურის სა- ნისტროები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ლქის კულტურის განყოფილება, რესპუბლი- ქალაქებისა და რაიონების კულტურის გა- ყოფილებები, დაწესებულებები და ორგანი- აციები სწორად აფასებენ ტელევიზიისა და ადიოს კრიტიკული გადაცემების, საკავშირო, ესპუბლიკური და ადგილობრივი პრესის ფუ- ცლებზე გამოქვეყნებული კრიტიკული წერი- ებისა და მათზე სწორი რეაგირების დიდ ნიშვნელობას. ზემოაღნიშნული ორგანიზა- ების მუშაობაში კრიტიკის სწორად აღქმის, სზე ოპერატიული რეაგირების კარგ პრაქ- იკას დადებითი შედეგები ახლავს. პრაქტი- ული ღონისძიებები, კონკრეტული შედეგე- მოჰყვა გაზეთ „კომუნისტის“ 1981 წლის მარტის კრიტიკულ წერილს „თუ კაცი ინიერია“, საქართველოს რადიოს სატირულ დაცემას „ორი ძიძის ხელში“.

თუ რამდენად მიზანდასახული და მართებუ- ყოფილა ბოლო წლებში გამოქვეყნებული რიტიკული წერილები და სიგნალები, ამის ასტურად კმარა კოლეგიაზე მოყვანილი გალითებიც: კრიტიკულ გადაცემებსა და ამოქვეყნებულ წერილებზე დროული რეაგი- ების შედეგად ახალი, კეთილმოწყობილი ბი- გადაეცა ყვარლის ცენტრალურ ბიბლიოთე- ს, გარემონტდა გრემის, სანავარდოსა და ისძირის კლუბები, ახალსოფლის ბიბლი- თეკა (ყვარლის რაიონი), გამოცოცხლდა ლტურული ცხოვრება ახმეტის რაიონის ფელ დუმასტურის კლუბში, რომელიც შიმ- წარე წელს კიდევაც გარემონტდება. გაი- სა კლუბი სოფელ ახალშენში, საგრძნობლად აღლდა ბოდბისხეველთა კულტურული მო- სახურების დონე (სიღნაღის რაიონი). საგუ- ისხმოა ისიც, რომ სამინისტრომ გამოძებ- დამატებითი სახსრები და კაპიტალურად აკეთა ნიკო ლომოურის სახლ-მუზეუმი ფელ არბოში (გორის რაიონი), ხოლო ხაშუ- ს რაიონის სოფელ დიდი ბეკმის კლუბი ევანდელ სარემონტო გეგმაში შეიტანეს.

თუ რა თვითკრიტიკულად, ღირსეულად მი- დგნენ რადიოსა და ტელევიზიის, საკავშირო, სპუბლიკური და ადგილობრივი პრესის კრი- კულ მასალებზე გამოხმაურების საქმეს ქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო- , ამას ნათლად მოწმობს კოლეგიაზე გულ- ფელად აღიარებული ნაკლოვანებები: ით- ა, რომ ჯერ კიდევ არის შემთხვევები, როცა ულტურის დაწესებულებები და ორგანიზაცი- , რაიონული და საქალაქო განყოფილებე- ზერელედ ეკიდებიან ამ სერიოზულ საქმეს, ურად არ იღებენ, უპასუხოდ ტოვებენ ოფი- ალურ შეტყობინებებსა და კრიტიკას. გაზეთ ომუნისტში“ გასულ წელს გამოქვეყნებული კრიტიკული წერილიდან უპასუხოდ დარ- 3, „სოფლის ცხოვრების“ 12 წერილიდან — პასუხს ელის ტელევიზიისა და რადიოს 5 რიტიკული გადაცემა. არის გაზეთების „ზა- ა ვოსტოკას“, „თბილისის“, „ახალგაზრდა მუნისტის“ კრიტიკული წერილების უპასუ- დ დატოვების ცალკეული ფაქტები (საქართ- ლოს სსრ კულტურის სამინისტრო, ბორჯო- , ბათუმის, ონის, ამბროლაურის, ლანჩხუ- , მაიაკოვსკის კულტურის განყოფილებები, თბილისის კულტურის სამმართველო).

რამ გამოიწვია ზემორე ჩამოთვლილი ორ- ნიზაციების ასეთი უგულისყურობა? ვითომ მორჩათ გაზეთის ფურცლებზე თუ რადიო- ლევიზიის მეშვეობით გამოთქმული საყვე- ურები? მაგრამ რედაქციები ხომ ოფიცი- ურად ატყობინებენ ამა თუ იმ კრიტიკული სალის გამოქვეყნების ამბავს.

კიდევ ერთი მაგალითი კრიტიკისადმი სწორი, რტიული დამოკიდებულებისა. ორიოდე წლის ნათ ჩვენი გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყ- ა წერილი კურორტების კეთილმოწყობაზე როგორც ედემში“), რომელშიც რამდენიმე მოსული მასალაც იყო ჩართული. ერთ-ერთი ამსვენებელი კურორტ ნუნისის ნაკლოვანე- ზე წერდა და იქვე დასძენდა, ნუნისის ეკ- სიას შეკეთება სჭირდებაო.

ეს წერილი საკურორტო სამმართველოში დაიგზავნა, პასუხი კი ძეგლთა დაცვისა გამოყენების მთავარ სამეცნიერო საწარ- ო სამმართველოდან მივიღეთ — იტყობი- ბოდნენ, ეკლესია და მისასვლელი გზა მალე წესრიგდებაო. ასევე დროულად მივიღეთ სუხი ხსენებული სამმართველოს უფროსის, როფესორ ირ. ციციშვილის ხელმოწერით შარ- წელ, 30 აგვისტოს გამოქვეყნებულ ლ. ნიკიძის წერილზე „ერთი დღის გულსატკი- ი“ — ქსნის ციხის თაობაზე.

თავაზიანი, დროული მოპასუხეა საქართვე- ოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტე- , მაგრამ იგივეს ვერ ვიტყვით თბილისის ქალაქო საბჭოს აღმასკომის კულტურის ნყოფილებაზე, რომელმაც არ გვიპასუხა შარ- გადაგზავნილ კრიტიკულ შენიშვნაზე, რე- ბლიკის დამსახურებული ჟურნალისტის კალენჯერიძის წერილში რომ იყო გამოთქმული დიდუბის პანთეონში ლადო მესხიშვილის მოუვლელი საფლავის თაობაზე. წელიწადზე მეტია დაიბეჭდა ეს წერილი (1981 წლის 4 იანვარი) და ვიდრე კვლავ არ შევახსენეთ ტელეფონით, პასუხი არ მოსულა. არც ტელეფონით ნათქვამი დაპირება გამართლდა, პანთეონს ვარემონტებთ და ეს საკითხიც მოგვარდებაო. წლეულს ლადო მესხიშვილის დაბადების 125 წლის თავი შესრულდა. ვინ იცის, რამდენს გაუჩნდა სურვილი ეხილა ლეგენდარული მამულიშვილის საფლავი, მაგრამ ვინ მიაგნებს, ვინ ამოიცნობს მას უწარწეროდ?! ნუთუ ლადო მესხიშვილის ხსოვნა მეტს არ გვავალებს?!

ბეჭდვითი სიტყვა ლიტონი როდია. საამისოდ ერთი ფაქტიც კმარა: კულტურის სამინისტროს კოლეგიაზე უმისამართო, დაუზუსტებელი, არაობიექტური კრიტიკის ზოგიერთი მაგალითიც აღინიშნა, კერძოდ, გაზეთ „კომუნისტის“ 1981 წლის 13 აგვისტოს წერილიც დაასახელეს — „კინოთეატრი... თამბაქოს ფარდულში“.

არა, ეს კრიტიკა რომ უმისამართო და უზუსტო არ იყო, დაადასტურა საქართველოს კომპარტიის სიღნაღის რაიონული კომიტეტიდან მიღებულმა პასუხმაც, რომ ფაქტები სინამდვილეს შეეფერება, რომ წნორის კინოთეატრი მართლაც შეუფერებელ შენობაშია, კინოჩვენებების დროს სისტემატურად ირღვევა წესრიგი. ამის გამო იმსჯელა წნორის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა და ჭარბი შემოსავლიდან დიდი თანხა გამოიყო კულტურის სახლისა და კინოთეატრის გასარემონტებლად, რაც უახლოეს ხანში დაიწყება (ცხადია, რედაქცია კვალში მიჰყვება თავის კრიტიკულ მასალებს და შეამოწმებს ხოლმე, რამდენად სრულდება დანაპირები). იქვე, იმ პასუხში ნათქვამია, რომ წესრიგის დარღვევისათვის სამუშაოდან განთავისუფლებულია მოლარე-კონტროლიორი, გაფრთხილება მიეცა უფროს კინომექანიკოსს და კულტურის სახლის დირექტორს. ცხადია, ჯობდა წნორის საქალაქო საბჭოს აღმასკომს და სიღნაღის კინოქსელის დირექციას მანამდე ეზრუნა ამ საქმეზე, სანამ ურემი გადაბრუნდებოდა...

...ახლა კიდევ გავარკვიოთ: კვლავაც არის თუ არა შეხსენებაზე ყურის მოყრუების ფაქტები? სამწუხაროდ არის!

საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან შემოსულ საჩივართა უმრავლესობაში ერთმანეთს უკავშირდება გზა და კულტურული მომსახურების საკითხი! უფრო ზუსტად კი უგზოობა, რაც თავიდათავი მიზეზია ცუდი კულტურული მომსახურებისა: ვერ აწვდიან კინოფილმებს, ვერ ჩადიან აგიტმხატვრული ბრიგადები, მუსიკალური კოლექტივები, თეატრალური დასები, — არადა, სოფელს სწყურია არა მხოლოდ წყალი, არამედ საინტერესო ფილმები, საინტერესო თეატრალური და პოეზიის საღამოები, ანუ უშუალო შეხვედრები ჩვენი ხელოვნებისა და ლიტერატურის გამოჩენილ წარმომადგენლებთან.

ბოლო დროს ამდენი გზა გაიყვანეს და შეაკეთეს, სადღაა ასეთი მიუვალობა და უმწეო მდგომარეობაო, იკითხავს მკითხველი!

ინებეთ: სოფელს არა აქვს სასმელი წყალი, არც კლუბის დამთავრების მშენებლობას ექცევა ყურადღება. ამიტომ ნიაბელი კოლმეურნეები რედაქციას სთხოვდნენ დახმარებას. შარშან რედაქციამ კონტროლის წესით კასპის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. ეპიტაშვილს გადაუგზავნა ეს წერილი და თან სთხოვდა მიღებული ზომების შესახებ ეცნობებია როგორც ავტორისათვის, ასევე რედაქციისთვისაც. მიუხედავად სამგზის შეხსენებისა, პასუხს ვერ ველირსეთ! იგივე ბედი ეწია ამბროლაურის რაიონის სოფელ კაჩაეთიდან შემოსულ განცხადებას.

გზის კეთილმოწყობაზე ამყარებენ იმედს ახმეტის რაიონის სოფელ ფიჩხოვანის მშრომელებიც, რომლებიც მოუთმენლად ელიან კულტურის დარგის მოღვაწეებს. 1981 წლის სექტემბრის აქეთ ნუთუ ვერ მოიცალეს ახმეტის რაისაბჭოში, რომ მიღებული ზომების შესახებ ეცნობებიათ რედაქციისთვის. ეს ხომ თავაზიანობისა და ურთიერთთანამშრომლობის უარყოფაც არის? იგივე ითქმის გარდაბნის რაისაბჭოს აღმასკომზე, სადაც გადაიგზავნა მარტყოფელი მ. ჯერენაშვილის განმეორებითი განცხადება ცუდი განათების თაობაზე, რის გამოც, ყოფითს ამბებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ტელეგადაცემების ნახვის საშუალებაც აღარ ეძლეოდათ.

ასეთი შემთხვევაც ყოფილა: გზაც არის და ხიდიც! ჩავა ესა თუ ის მხატვრული კოლექტივი ეგრეთ წოდებულ პერიფერიაში და ვალის მოხდის მიზნით გამართავს კონცერტს! მაგრამ მაყურებელი ბრმა და ყრუ როდია! რუსთავი ხომ ყურის ძირშია, ნებისმიერი კოლექტივი პატივად უნდა თვლიდეს მეტალურგთა ქალაქში კონცერტის გამართვას, მაგრამ აი, სამწუხაროდ, რა გაგვიმხილა ერთმა იქაურმა ჟურნალისტმა ანსამბლ „75-ის“ მიერ დაბალ დონეზე გამართული კონცერტის გამო: ...რა ხდებოდა სცენაზე? სცენა გამოსაფხიზლებელს უფრო ჰგავდაო, წერს იგი აღშფოთებით და მახიობთაგან მაყურებლის აბუჩად აგდების არაერთი მაგალითი მოჰყავს. დასასრულ ვკითხულობთ:

„ასე ნელ-ნელა, თანდათანობით დაჰკარგავთ გულშემატკივრებს, მოსიყვარულე, პატივისმცემელ ხალხს და ჩვენს გულებში ბინის ხელმეორედ დადება ძალიან, ძალიან გაგიჭირდებათ“.

რას უპასუხებს ამაზე ანსამბლი „75“? სცენიდანაც ხომ ხელოვნების დამაჯერებელი სიტყვა უნდა ისმოდეს!

...ხუთი წელია კლუბს აშენებენო, — გვიზიარებს საკუთარ და თანასოფლელთა საერთო სატკივარს ზემოალვანელი ახალგაზრდობა. აი, კიდევ ერთხელ შევხვდით ახმეტელებს და იმედია, აღმასკომი უყურადღებოდ არ დატოვებს ამ საჭირბოროტო საკითხს.

კულტურის სახლის უხეირო და გაჭიანურებული მშენებლობისათვის უჩივიან საჩხერის საკოლმეურნეობათაშორისო მშენებლობის საბჭოს არგვეთელები. ათი წლის დაწყებულ საქმეს მართლაც დროულად უნდა თავის დადგმაც!

ასე გავასრულებთ ამჯერად სათქმელს და ვიმედოვნებთ, გაზეთის ფურცლებზე ნათქვამ სწორ სიტყვას კვლავაც სწორად შეაფასებს ხოლმე ჩვენი კეთილი მკითხველი.

კლინიკური დიაგნოსტიკა ორბიტაზე

ფრენის მართვის ცენტრი, 21 მაისი. (საკდესი). უკვე ერთი კვირა გავიდა მას შემდეგ, რაც ანატოლი ბერეზოვოი და ვალენტინ ლებედევი მუშაობენ „სალუტ-7“ — „სოიუზ ტ-5“ ორბიტულ კომპლექსში. კოსმონავტებმა განაკონსერვეს სადგურის საბორტო სისტემები და მოამზადეს სამეცნიერო აპარატურა მომავალი კვლევისათვის.

დღეს სამუშაო დროის მეტი ნაწილი დაეთმო ტექნიკურ ექსპერიმენტებს — ორიენტაციის შესრულებისა და კომპლექსის მოძრაობის მართვის დროს ავტონომიური ნავიგაციის სისტემა „დელტას“ დახვეწას.

დაწყებულია ბიოლოგიური ექსპერიმენტები კოსმოსური ფრენის პირობებში უმაღლესი განვითარების მცენარეთა კულტივირების შესაძლებლობის შემდგომი შესწავლისათვის. დანადგარები, რომლებიც ამ გამოკვლევებში გამოიყენება, მოდერნიზებულია „სალუტ-6“ სადგურში ხანგრძლივი ექსპედიციების გამოცდილების საფუძველზე.

გუშინ მოეწყო ეკიპაჟის კომპლექსური სამედიცინო შემოწმება, გამოიკვლიეს კოსმონავტთა გულ-სისხლძარღვთა სისტემის მდგომარეობა როგორც მოსვენების პირობებში, ისე ველოერგომეტრზე ფიზიკური ვარჯიშის შესრულებისას. ფიზიოლოგიური პარამეტრების რეგისტრაციისათვის, კერძოდ, იყენებდნენ ახალ მრავალფუნქციურ აპარატურას „აელიტა-01“-ს, რომელსაც მეტი ინფორმაციული ტევადობა და გაუმჯობესებული საექსპლოატაციო მახასიათებლები აქვს. იგი შესაძლებლობას იძლევა მნიშვნელოვნად დაიზოგოს დრო და შემცირდეს სამუშაო ოპერაციების რიცხვი, რომლებსაც კოსმონავტები ასრულებენ შემოწმების დროს.

რადიოსაუბრიდან და სამედიცინო კონტროლის მონაცემებიდან ჩანს, ანატოლი ბერეზოვოი და ვალენტინ ლებედევი თავს კარგად და ჯანმრთელად გრძნობენ. ფრენის დასახული პროგრამა წარმატებით სრულდება.

ფორუმის მონაწილენი დაბრუნდნენ

ოთხი დღის მანძილზე მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სასახლეში ჩვენი ქვეყნის კომკავშირული ახალგაზრდობა იხილავდა საბჭოთა ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის, პარტიის წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის ბრძოლაში მისი როლისა და პასუხისმგებლობის გაძლიერების აქტუალურ საკითხებს. სრულიად საკავშირო ალკკ XIX ყრილობამ მუშაობა დაამთავრა. 22 მაისს თბილისის აეროპორტში კომკავშირული ფორუმის დელეგატებს — საქართველოს წარგზავნილებს ყვავილებით, ალისფერი ტრანსპარანტებითა და ორკესტრებით დახვდნენ.

ყველას, ვინც მონაწილეობდა ყრილობის მუშაობაში, ვინც თვალს ადევნებდა მას ტელეგადაცემებითა და საგაზეთო პუბლიკაციებით, დღეს საერთო განწყობა აქვთ — წინ არის ახალი საქმეები, ახალი გეგმები. მათ განსაზღვრავს ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მკაფიო საპროგრამო სიტყვა ყრილობაზე.

სსრ კავშირში ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ინდირა განდის ვიზიტის შესახებ

მიღწეული მორიგების შესაბამისად, ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ინდირა განდი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მოწვევით საბჭოთა კავშირში ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად ჩამოვა მიმდინარე წლის სექტემბერში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

ხორციელდება საგანგებო ღონისძიებანი

მიმდინარე წლის უაღრესად არახელსაყრელი ამინდის პირობების შედეგად, რომელსაც ახასიათებს ძლიერი კოკისპირული წვიმები და სეტყვა, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობამ მნიშვნელოვანი ზარალი განიცადა. მდგომარეობა განსაკუთრებით გართულდა ამ ბოლო დროს, როცა ძლიერი სეტყვის (28 აპრილს, 19, 20, 21 მაისს) შედეგად სერიოზულად დაზიანდა სოფლის მეურნეობის კულტურების 18 ათასი ჰექტარი ნათესი, 22 ათასი ჰექტარი ვენახი, ალაგ-ალაგ კი მთლიანად დაიღუპა 1982 წლის მოსავალი. განსაკუთრებით დაზიანდა მრავალწლოვანი და ერთწლოვანი კულტურები გურჯაანის, სიღნაღის, წითელწყაროს, ახმეტის, ყვარლის, კასპის, დუშეთის, მცხეთისა და მთელ რიგ სხვა რაიონებში. ბევრ რაიონში აღინიშნება სერიოზული ჩამორჩენა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესრულებაში.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 22 მაისს მიიღო დადგენილება **„ინტენსიური სეტყვით გამოწვეული სტიქიური უბედურების შედეგების ლიკვიდაციისა და სოფლის მეურნეობის კულტურების 1982 წლის მოსავლის გადარჩენის საგანგებო ღონისძიებათა შესახებ“.**

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ არსებობს სოფლის მეურნეობის კულტურების დაავადებებისა და მავნებლების ფართო გავრცელების, არა მარტო წლევანდელი წლის, არამედ მომდევნო წლების მოსავლის დაღუპვის სერიოზული საფრთხე. არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ სინოპტიკოსების პროგნოზებიც, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ მიმდინარე წლის ამინდის პირობები 1963 წლის პირობების ანალოგიურია, როცა დაიღუპა ყურძნისა და სხვა კულტურების თითქმის მთელი მოსავალი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა შექმნა მთავრობის კომისია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ზ. ა. პატარიძის მეთაურობით. კომისიას დაევალა ოპერატიულად გაერკვიოს შექმნილ მდგომარეობაში და საჭირო საგანგებო ღონისძიებანი განახორციელოს სტიქიური უბედურების შედეგების ლიკვიდაციისა და 1982 წლის მოსავლის გადარჩენისათვის. კომისიას დაევალა პერიოდულად აცნობოს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს განხორციელებულ ღონისძიებათა შესახებ.

მთავრობის კომისიის მითითებანი და განკარგულებანი სავალდებულოა ყველა ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოსათვის.

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს მიეცა მითითება დაუყოვნებლივ გაგზავნოს სპეციალისტთა ჯგუფი სტიქიური უბედურების რაიონებში მიყენებული ზარალის განსაზღვრისათვის და განახორციელოს ღონისძიებანი სახელმწიფო დაზღვევის ხაზით მისი ანაზღაურებისათვის.

საქართველოს სსრ დამზადების სამინისტრომ უნდა გამოძებნოს შესაძლებლობა დამატებით გამოუყოს სტიქიური უბედურებით დაზარალებულ რაიონებს ლობიოს, სიმინდის, მზესუმზირასა და სხვა კულტურების თესლი და გასცეს იგი საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს განაწილებით.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის საწარმოო-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტმა იმ რაიონების ხარჯზე, რომლებიც არ დაზარალდნენ სტიქიური უბედურებისაგან, დამატებით გამოჰყონ და გადაანაწილონ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, საწვავ-საპოხი მასალები, მინერალური სასუქები და შხამქიმიკატები, რათა მაქსიმალური დახმარება გაუწიონ სეტყვითა და წყალდიდობით დაზარალებულ რეგიონებს.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, მის ინსტიტუტებს მიეცათ დავალება ათი დღის ვადაში, უზრუნველყონ კოლმეურნეების, საბჭოთა მეურნეობების მუშების, მექანიზატორების, სპეციალისტების, საშუალო რგოლისა და მეურნეობათა ხელმძღვანელების მატერიალური სტიმულირების დროებითი რეკომენდაციების შემუშავება და წარდგენა მთავრობის კომისიის განსახილველად იმ ანგარიშით, რომ მათი შრომის ანაზღაურებაზე უარყოფითი გავლენა არ მოახდინოს სტიქიური უბედურების შედეგებმა. სახსრების უქონლობის შემთხვევაში გამოჰყონ ისინი რესპუბლიკური სადოტაციო ფონდიდან, რომელიც გათვალისწინებულია ეკონომიკურად სუსტი მეურნეობებისათვის დანამატების დასადგენად.

დადგენილებაში აღნიშნულია საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს კონტროლის რესპუბლიკური სამმართველოსა და სეტყვის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურების სრულიად არადამაკმაყოფილებელი მუშაობა სეტყვის დროული პროგნოზირების, შეტყობინებისა და თავიდან აცილების საქმეში.

სეტყვის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურების მუშაობის ეფექტიანობის შესწავლისა და განსაზღვრისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა შექმნა კომისია, რომელსაც მეთაურობს საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ი. გ. გვერდწითელი. კომისიას დაევალა მიმდინარე წლის დამლევამდე გააანალიზოს ვენახების დაცვისათვის მუშაობა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარუდგინოს წინადადებანი შესაბამისი სამსახურების საქმიანობის გაუმჯობესების შესახებ.

საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, რაიონული სასოფლო-სამეურნეო საწარმოო გაერთიანებების თავმჯდომარეებმა დაუყოვნებლივ უნდა გაარკვიონ თითოეულ მეურნეობაში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ჩამორჩენის მიზეზები, აგრეთვე განსაზღვრონ სეტყვითა და კოკისპირული წვიმებით მიყენებული ზარალის მოცულობა და ერთი კვირის ვადაში წარუდგინონ წინადადებანი მთავრობის კომისიას. მათვე ევალებათ ამინდის პირობების მოსალოდნელი გაუარესების გათვალისწინებით სასწრაფოდ შეიმუშაონ და განახორციელონ დამატებითი საგანგებო ღონისძიებანი ადამიანებისა და მატერიალური რესურსების დასარაზმავად 1982 წლის მოსავლის გადარჩენისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების სახელმწიფო გეგმების უთუო შესრულებისათვის.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტს მიეცა დავალება რესპუბლიკის სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად შეისწავლოს მთელ რიგ რეგიონებში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა სერიოზული ჩამორჩენის მიზეზები და უმკაცრესი ღონისძიებანი განახორციელოს დამნაშავეთა წინააღმდეგ.

აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის რესპუბლიკურმა საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭომ უნდა გააქტიუროს სამინისტროებისა და უწყებების მუშაობა იმ საკითხთა ოპერატიული გადაწყვეტისათვის, რომლებიც წარმოიშვა სტიქიურ მოვლენებთან და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ჩამორჩენასთან დაკავშირებით.

რესპუბლიკური და ადგილობრივი გაზეთების რედაქციებს, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს ევალებათ სისტემატურად და ოპერატიულად გაშუქონ სტიქიური უბედურების შედეგების დაძლევისა და 1982 წლის მოსავლის გადარჩენისათვის ბრძოლის მიმდინარეობა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკი, მთელი მოსახლეობა კვლავ გამოიჩენენ მაქსიმალურ ორგანიზებულობას, დარაზმავენ ადამიანებს და მთელ მატერიალურ რესურსებს შექმნილი მძიმე მდგომარეობის დაძლევისათვის, 1982 წლის მოსავლის გადარჩენისათვის. ეჭვი არ არის, ნათქვამია დადგენილებაში, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებას, როგორც ყოველთვის, მოიწონებენ და მხარს დაუჭერენ რესპუბლიკის მშრომელები, ძალ-ღონესა და ენერგიას არ დაიშურებენ, რათა დაძლიონ წარმოშობილი სიძნელეები და ღირსეულად შეხვდნენ სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავს.

(საქინფორმი).

სტიქიონთან საბრძოლველად — დიდი და პატარა!

19, 20 და 21 მაისს აღმოსავლეთ საქართველოს მთელ რიგ რაიონებში მოსულმა ძლიერმა წვიმებმა, რომლებსაც ბევრგან უჩვეულო სეტყვა და ქარიშხალი მოჰყვა, გააჩანაგა ხეხილის ბაღები, ერთწლოვანი ნათესები და ზვრები. ზოგან მთელი ასი პროცენტით განადგურდა მიმდინარე წლის მოსავალი. „კომუნისტის“ რედაქცია დაუკავშირდა თელავის, ყვარლის, დუშეთის და გორის რაიონების ხელმძღვანელებს. მათ თქვეს, თუ რას ღონობენ სტიქიისაგან მიყენებული ზარალის სალიკვიდაციოდ, წლევანდელი წლის მოსავლის გადასარჩენად.

თელავი

ამ დღეებში რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში მძვინვარე სტიქიონმა თავისი სიავე თელავის ზვრებსაც დააჩნია. სეტყვამ ძლიერ დააზიანა შალაურისა და კისისხევის მეურნეობათა 200 ჰექტარი ვენახი. თავის მხრივ გადაუღებელი წვიმებიც დიდ განსაცდელში აგდებს რაიონის მინდვრის მშრომელებს.

— სტიქიის შედეგების სწრაფი ლიკვიდაციის საქმეს ხელმძღვანელობს რაიონული შტაბი, რომლის ოპერატიული ღონისძიებების წყალობით დასეტყვილი 200 ჰექტარი ვენახი მეორე დღესვე შეიწამლა ბორდოს სითხით. ვაზებს შეეცალა სეტყვისაგან დამტვრეული ტოტები და სხვა. — გვითხრა თელავის რაიონის სასოფლო-სამეურნეო საწარმოო გაერთიანების საბჭოს თავმჯდომარემ თ. ბატიაშვილმა. ამ საქმეში ჩაბმულია დიდი და პატარა. დიდ დახმარებას გვიწევენ საქართველოს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მუშაკები, რომლებთანაც ჩვენ ხელშეკრულება გვაქვს გაფორმებული. ამ რთულ პერიოდში მეცნიერი მუშაკები ყოველდღიურად ადგილებზე კონკრეტულ რჩევა-დარიგებას აძლევენ მევენახეებს ბუნების პირვეულობის პირობებში მოსავლის გადასარჩენად.

მეცნიერთა, სოფლის მშრომელთა და სხვა პარტნიორთა თანადგომა მიწათმოქმედებს ოპტიმისტურ განწყობილებას უქმნის წლევანდელი საჭირნახულო ლაშქრობის ამ მძიმე დღეებში.

(„კომუნისტის“ სპეც. კორ.).

ყვარელი

ყვარლის რაიონის სასოფლო-სამეურნეო საწარმოო გაერთიანების საბჭოს თავმჯდომარე იური ლომიძე:

— 19 მაისს დაისეტყვა ახალსოფლის სანერგე მეურნეობის 130 ჰექტარი მოსავლიანი ვენახი, ჰიკაანის კოლმეურნეობის 80 და ახალსოფლის სასოფლო საბჭოში შემავალი მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთების 380 ჰექტარი. ბუნების სტიქიამ ესეც არ გვაკმარა და 20 მაისს განმეორებით დაისეტყვა ახალსოფლის საზოგადოებრივი მეურნეობის 300 ჰექტარი ზვარი და 400 ჰექტარი საშემოდგომო კულტურების ნათესები. ამავე დღეს დაისეტყვა ქინძმარაულის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის 200 ჰექტარი ვენახი.

სახელდახელოდ შეიქმნა სეტყვით გამოწვეული ზარალის სალიკვიდაციო კომისია რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მ. კორაშვილის მეთაურობით. პირველ ყოვლისა კომისიამ დეტალურად შეისწავლა დაზიანების ხარისხი და რაოდენობა ცალკეული მეურნეობებისა და საკარმიდამო ნაკვეთების მიხედვით, დასახა ღონისძიებები შექმნილი მდგომარეობის უმოკლეს დროში სალიკვიდაციოდ.

მთავრდება ზვრების დაზიანებული და ჩამოგლეჯილი ყლორტების ფურჩნა-დასუფთავება, ძლიერ დაზიანებული ნაკვეთების მწვანე სხვლა, ბორდოს ხსნარით ზვრების შეწამვლა. ამასთან დაკავშირებით მოვითხოვეთ, რომ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ გამოყოფილი ფონდების გადამეტებით მოგვამარაგოს შხამ-ქიმიკატებით. ზვრებში მიმდინარე სამუშაოებზე ახლა ყოველდღიურად დამატებით გამოგვყავს 8 ათასამდე მუშახელი.

იმ ფართობებზე, საიდანაც წლეულს მოსავალს საერთოდ ველარ მივიღებთ, საზოგადოებრივ მეურნეობებს რეკომენდაცია მივეცით ვენახის მწკრივშორისებში დათესონ ლობიო. ეს სამუშაო ახლა განსაკუთრებით კარგად მიმდინარეობს ახალსოფლისა და ქინძმარაულის საბჭოთა მეურნეობებში. ვცდილობთ ყველაფერი ვიღონოთ სტიქიით გამოწვეული დიდი ზარალის ასანაზღაურებლად.

დუშეთი

დუშეთის რაიონის სასოფლო-სამეურნეო საწარმოო გაერთიანების საბჭოს თავმჯდომარე ვახტანგ ცქიმანაური:

— ბევრს არ ახსოვს სტიქიის ასეთი აბობოქრება, რომელმაც ხეხილის მრავალწლოვანი ნარგავებიც კი დაამტვრია. სეტყვა და ქარიშხალი 40 წუთს გაგრძელდა. ოთხი სანტიმეტრი და მეტი დიამეტრის სეტყვის მარცვლებმა რაიონის 6 საზოგადოებრივი მეურნეობის თითქმის მთელი ძირითადი სასოფლო სამეურნეო სავარგულები გაანადგურა. განსაკუთრებით დიდი ზარალი მიაყენა ბაზალეთის კოლმეურნეობის ერთწლოვან საშემოდგომო თავთავიან კულტურებს — ხორბალსა და ქერს. 560 ჰექტარზე მთლიანად განადგურდა ნათესები. წინასწარი გაანგარიშებით ამ ფართობებზე დავკარგეთ დაახლოებით 1500 ტონა ნამჯა და 1000 ტონაზე მეტი მარცვალი — 32 ჰექტარზე მოისპო ნივრის ნათესები, 160 ჰექტარზე — სიმინდის, ლობიოს, ხახვის, სხვა ერთწლიანი კულტურების ნათესები და პამიდორის გადარგული ჩითილები.

ანალოგიური ზარალი სხვადასხვა მასშტაბით მოუვიდათ არაგვისპირის, ბულაჩაურის, შუა ხევის საბჭოთა მეურნეობებს, სადაც 100 პროცენტით დაზიანდა როგორც ერთწლოვანი კულტურების ნათესები, ასევე ზვრები და ხეხილის ბაღები. სულ რაიონში დაზიანდა ან მთლიანად მოისპო დაახლოებით 2500 ჰექტარი ხეხილი, ზვრები და ერთწლოვანი კულტურები.

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო საგანგებო კომისიამ, რომელსაც პირადად ვხელმძღვანელობ, დასახა კონკრეტული ღონისძიებები. მოგეხსენებათ, დუშეთი ძირითადად მეცხოველეობის რაიონია და საკვები ბაზის შექმნისათვის ბრძოლა გადაუდებელი ამოცანაა. ამიტომაც პირველ ყოვლისა ვიზრუნეთ საშემოდგომო ნათესი კულტურების გადარჩენილი მოსავლის ხელით აღებაზე, რადგანაც ტექნიკით მას ვერ ავიღებთ (სეტყვამ მიწასთან გაასწორა). მას სილოსად ჩავდებთ. ნაკვეთებს ვხნავთ და ხელმეორედ ვთესავთ ერთწლოვან კულტურებს, მათ შორის ბოსტნეულს. ძირითადში გვაქვს თესლის სარეზერვო ფონდები. გვაკლია ზოგიერთი თესლი, აგრეთვე შხამქიმიკატები ზვრების შესაწამლავად.

სოფლის მშრომელებს რჩევა მიეცათ, რომ ზვრების მწკრივთაშორისებში დარგონ პამიდორი, დათესონ ლობიო, ყოველ ღონეს ვიხმართ იმისათვის, რომ დაზიანებული და განადგურებული ნათესების ფართობებზე რაც შეიძლება მეტი მოსავალი მივიღოთ.

გორი

საქართველოს კომპარტიის გორის რაიკომის პირველი მდივანი ვაჟა აბრამიშვილი:

— გორში ყველაზე მეტად დაისეტყვა ატენი, ხიდისთავი და ქვახვრელი. ხეხილზე და ერთწლოვანთა ნათესებზე, რომ აღარაფერი ვთქვათ, მარტო ხიდისთავში ზვრების 70 პროცენტი განადგურდა, მეტნაკლებად — ატენსა და ქვახვრელშიც. დიდი ზარალი მიაყენა სეტყვამ აგრეთვე საკარმიდამო მეურნეობასაც, ბუნება კვლავაც ჭირვეულობს, წვიმს.

ავდრის მიუხედავად რაიონის მუშა-მოსამსახურეები, ინტელიგენცია, მოსწავლე-ახალგაზრდობა დაიძრა დაზარალებული საზოგადოებრივი მეურნეობების დასახმარებლად, წლევანდელი მოსავლის გადასარჩენად. ოპერატიული შტაბი, რომელიც რაიონის სასოფლო-სამეურნეო საწარმოო გაერთიანების საბჭოსთან შეიქმნა, სასწრაფო ღონისძიებებს მიმართავს მოსავლის გადასარჩენად.

დაზარალებული სოფლების საზოგადოებრივ მეურნეობებში მიმდინარეობს ვაზის დაზიანებული ყლორტების სხვლა, ბორდოს ხსნარით შეწამვლა და აკვრა. ზოგან ვაზების და ხეხილის მწკრივებს შორის, სადაც წლევანდელი მოსავალი განადგურდა, თესავენ ლობიოს, რგავენ პამიდორის ჩითილებს. განადგურებული საშემოდგომო კულტურების ნიადაგების ხვნა, ფარცხვა და თესვა მალე დამთავრდება.

◆



სურათებზე: დასეტყვილი ვენახები მცხეთის რაიონში. აი, ასე გამოიყურებოდა ხოშკაკლის მასა.

მ. დავითაშვილის ფოტო.

პარტიული ცხოვრება: განვახორციელოთ სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებანი!

რეზერვების ძიების გზით

რაიკომი და სასურსათო პროგრამის საკითხები

უკვე მეორე წელია, რაც ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად იღვწიან სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებების, მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებების შესასრულებლად. „მეთერთმეტე ხუთწლედი, — თქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — უნდა გახდეს და გახდება კიდეც სახელოვანი ნიშანსვეტი საბჭოთა ხალხის ისტორიულ მიღწევათა გზაზე. ეჭვი არ არის, რომ ჩვენი ქვეყნის მშრომელები არ დაიშურებენ ძალ-ღონესა და ენერგიას, შემოქმედებასა და ინიციატივას, რათა ახალ-ახალი წარმატებები მოიპოვონ ამ გზაზე“.

ეს სიტყვები მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წლის მიწურულს ითქვა. გასული წელი კი კვლავინდებურად წარჩინებული აღმოჩნდა ჩვენი რესპუბლიკისათვის, რომელმაც შარშანდელი შედეგებით ზედიზედ მეცხრედ დაიმსახურა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულის გარდამავალი წითელი დროშა. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან გვახარებს, მაგრამ სიხარულს გვიორკეცებს იმის შეგრძნებაც, რომ საბჭოთა საქართველოს ამ კიდევ ერთ შესანიშნავ გამარჯვებაში ჩვენი რაიონის მშრომელთა წვლილიც არის.

ყველასათვის ცნობილია, რომ ჩვენს რაიონში სოფლის მეურნეობის მთავარი დარგებია მეციტრუსეობა და მეჩაიეობა. ხოლო ამ კულტურებს, როგორც მოგეხსენებათ, დიდი მნიშვნელობა აქვს საერთო-საკავშირო სასურსათო პროგრამის განხორციელებაში. ეს კი რაიონის მშრომელებს განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებს, რადგან ისინი ჩვენს ქვეყანაში ციტრუსის მთავარი მწარმოებლები არიან. თავისთავად რა ბევრის მთქმელია, რომ ქობულეთელ მეციტრუსეებს მოჰყავთ მთელ რესპუბლიკაში მოწეული ციტრუსოვანთა მოსავლის დაახლოებით 40 პროცენტი. შარშან მათ მოიწიეს 98 ათას ტონაზე მეტი მანდარინი, ლიმონი, ფორთოხალი.

ეს წარმატება მით უფრო საგულისხმოა, რომ ქობულეთი რესპუბლიკის ერთ-ერთი მცირემიწიანი რაიონია. აქ ნაყოფიერი მიწები, ძირითადად, სუბტროპიკულ კულტურებს უჭირავს. სათიბი და საძოვარი თითქმის არა გვაქვს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ ნაკვეთებს, რომლებსაც კოინდრისა და შვრიის დასათესად ვიყენებთ. სახნავი მიწა მთელ რაიონში მხოლოდ 1700 ჰექტარია. ასეთი მდგომარეობა გვაიძულებს პირუტყვი მთელი წელიწადი ბაგურ კვებაზე გვყავდეს.

გარდა ამისა, ცნობილია ისიც, რომ ქობულეთის ზღვისპირეთი ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი შესანიშნავი საკურორტო ადგილია. რაიონში ყოველწლიურად ასიათასამდე დამსვენებელი ჩამოდის. ეს ფაქტიც თავისთავად კიდევ უფრო ზრდის რაიონული პარტიული ორგანიზაციის საზრუნავს სასურსათო პროგრამის წარმატებით გადაჭრისათვის.

ამ მიზნით პარტიის რაიონულ კომიტეტთან შეიქმნა სასურსათო პროგრამის კომისია, რომელმაც 1981 წლის 18 ნოემბერს პარტიის რაიკომის პლენუმს განსახილველად წარუდგინა რაიონის სასურსათო პროგრამა. იგი ითვალისწინებს სოფლის მეურნეობის იმ დარგების განვითარების ღონისძიებებს, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ საკავშირო და რესპუბლიკური სასურსათო პროგრამის განხორციელებასა და კვების პროდუქტებზე რაიონის მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებაში.

ცნობილია, რომ სასურსათო პროგრამაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი განეკუთვნება მეცხოველეობას. ამიტომაც იგი რაიონში განსაკუთრებული ზრუნვის საგნად ვაქციეთ. ხოლო პარტიული ორგანიზაციები, კომუნისტები ამ საქმის ნამდვილი პროპაგანდისტები გახდნენ. ასეთი ღონისძიებების შედეგად შესანიშნავი წარმატებები აქვთ ლეღვას (თავმჯდომარე — ჯ. კობალაძე პარტიული ორგანიზაციის მდივანი — მ. აფხაზავა), ქვედა აჭყვის (თავმჯდომარე — გ. პაპლიდი, პარტორგანიზაციის მდივანი — ხ. პაპანდოპულო) და სხვა კოლმეურნეობებს. რით მიაღწიეს მათ ამ მაღალ სამეურნეო წარმატებებს? უწინარეს ყოვლისა, პარტიული კომიტეტების, კომუნისტების მოქნილი მუშაობით, საქმისადმი სერიოზული მიდგომით, პასუხისმგებლობის ამაღლებითა და დისციპლინის განმტკიცებით. ამ კოლმეურნეობებში ეკონომიკური ანალიზის ბიუროები სისტემატურად განიხილავენ შედეგებს. მეურნეობათა ხელმძღვანელები კარგად ერკვევიან ეკონომიკურ საკითხებში, ეძიებენ, პოულობენ და ამოქმედებენ კიდეც ახალ რეზერვებს.

მაგრამ, სამწუხაროდ, ყველა კოლმეურნეობაზე ასე არ ითქმის. მაგალითად, ზედა კვირიკეებმა (კოლმეურნეობის თავმჯდომარე — ა. ჯინჭარაძე, პარტიული ორგანიზაციის მდივანი — ხ. ხიონიდი), მართალია, გეგმები კი შეასრულეს, მაგრამ ეს პროდუქციის გაძვირების ხარჯზე მოხდა. მაგალითად, შარშან მათ ერთი ცენტნერი ხორცის წარმოება წინა წელთან შედარებით 200 მანეთით გააძვირეს, ხოლო ერთი ცენტნერი სიმინდისა — 7 მანეთით.

მიწის სიმცირე, სათიბ-საძოვრის უქონლობა მნიშვნელოვნად აფერხებს საკარმიდამო მეცხოველეობის განვითარებას. ფურები მოსახლეობის მესამედს არ ჰყავდა. ჩვენ მიზნად დავისახეთ ხუთწლედის ბოლომდე სოფლად არ დარჩეს არც ერთი ოჯახი, რომელსაც მეწველი პირუტყვი არ ეყოლება. გამოჩნდნენ ენთუზიასტები, რომლებმაც მიგდებული ადგილები ეკალბარდისაგან გაწმინდეს და კოინდარი დათესეს. საზოგადოებრივ სექტორშიც გაიზარდა კოინდრის ნათესები. პირუტყვის შესაძენად მოსახლეობას ვაძლევთ სესხს. ასეთი ღონისძიებების შედეგია, რომ მარტო შარშან მოსახლეობაში ფურების რიცხვი 600-ით გაიზარდა. ხორცის წარმოების გადიდების მიზნით დამხმარე მეურნეობებში შემოვიღეთ მატერიალური წახალისების ფორმა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მთავარი კულტურების წარმოებისა და გადამუშავების, მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობის საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ახალშექმნილმა სასოფლო-სამეურნეო საწარმოო გაერთიანებამ. ქობულეთი იმ რაიონებს ეკუთვნის, სადაც 1978 წელს ექსპერიმენტის წესით შეიქმნა პირველი გაერთიანებები. გაერთიანების საბჭოში პირდაპირი დაქვემდებარებით შევიდა 17 კოლმეურნეობა, 3 საბჭოთა მეურნეობა და 7 სამეურნეობათშორისო გაერთიანება, ხოლო ორმხრივ დაქვემდებარებაში 7 საბჭოთა მეურნეობა და 27 წარმოება-დაწესებულება. ასეთი ფორმირების მთავარი მიზანი იყო რაიონული მასშტაბით სასოფლო-სამეურნეო წარმოების მართვის შემდგომი სრულყოფა, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების, დამზადების, ტრანსპორტირების, გადამუშავების, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, სამელიორაციო სამსახურის, მშენებლობის და სხვა რგოლებისა და სამსახურების უწყებრივი დაქსაქსულობის აღმოფხვრა.

ახლა, როცა განვლილი პერიოდის შედეგები შევაჯამეთ, აშკარა გახდა მიღწევები. ჯერ ერთი, ახალმა გაერთიანებამ მნიშვნელოვნად განსაზღვრა მეათე ხუთწლედის წარმატებით დამთავრება და მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წლის გეგმების დიდი გადაჭარბებით შესრულება. ამას ემატება ეკონომიკური და ფინანსური საშუალებების უკეთ გამოყენების შესაძლებლობა. მაგალითად, გაერთიანებაში არსებული ცენტრალური ფონდები საშუალებას გვაძლევს, რომ ისინი იქ გამოვიყენოთ, სადაც მეტ ეფექტს მოგვცემს. ჩვენ უკვე შევიმუშავეთ ჩაის ფაბრიკათა მუშების მატერიალური დაინტერესების ახალი ფორმა, რაც მუშახელით უზრუნველყოფს ფაბრიკებს. ასევე, ცენტრალური ფონდებიდან მნიშვნელოვან თანხას გამოვყოფთ მოსახლეობაში კოოპერირების ფორმის განსამტკიცებლად, რაც გაზრდის მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებას.

სასურსათო პროგრამის შემდგომი აღმავლობისათვის ამჟამად ბევრი რამ კეთდება. ფართოვდება მეფრინველეობის ფაბრიკა, საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს ინკუბატორი მოსახლეობას ყოველწლიურად მიჰყიდის 300 ათას წიწილას. ყველა კოლმეურნეობაში არის მეღორეობის ფერმები. ჩაქვსა და ლეღვაში მოვაწყვეთ პირუტყვის სასუქებელი მოედნები, 10 ჰექტარიანი სატბორე მეურნეობა. მალე დამთავრდება დიდი სასათბურე მეურნეობის მშენებლობა, რომელიც ყოველწლიურად 2700 ტონა ბოსტნეულს მოგვცემს.

ჩვენს სასურსათო პროგრამაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურების შემდგომ განვითარებას, ფართობების გაზრდასა და მოსავლიანობის გადიდებას. მეჩაიეობაში მთავარ პრობლემად კვლავ რჩება ჩაის ხარისხის ამაღლება და გადამამუშავებელი მრეწველობის სიმძლავრეთა გაზრდა. სახელოვანი მეჩაიის თ. ყუფუნიას ღია წერილს „აღვუდგინოთ ქართულ ჩაის ძველი დიდება“ ფართოდ გამოეხმაურნენ ქობულეთის მეჩაიეები. რაიონის პარტიული ორგანიზაციები ამჟამად ყოველმხრივ ზრუნავენ ამ მეტად მტკივნეული და ეროვნული საქმის მოგვარებისათვის.

ეს — რაც შეეხება გაკეთებულს, მაგრამ არის მთელი რიგი გადასაწყვეტი საკითხებიც. მაგალითად, ვფიქრობთ, რომ უნდა გადაისინჯოს მეციტრუსეთა შრომის ანაზღაურება. და აი, რატომ: ჰექტარზე მოწეული ჩაის ფოთოლი 6.828 მანეთ შემოსავალს იძლევა, ციტრუსისა კი 8.140 მანეთს, ანუ 19 პროცენტით მეტს. მეციტრუსე ყოველი ჰექტარის მოვლისათვის 1294 მანეთით ნაკლებს ღებულობს, ვიდრე მეჩაიე. ეს საკითხი შესწავლასა და გადაწყვეტას მოითხოვს.

ამის გაკეთება კი თუნდაც აი რატომ არის აუცილებელი: რა დასამალია, რომ საზოგადოებრივ მეურნეობებში სუბტროპიკული კულტურების მოსავალი ჩამორჩება პირად დამხმარე მეურნეობიდან მიღებულ მოსავალს. ამიტომ ვცდილობთ მივაღწიოთ იმას, რომ ეს განსხვავება უახლოეს ხანებში თუ მთლიანად არა, მინიმუმამდე მაინც შევამციროთ.

როგორც ვხედავთ, საკმაოდ დიდი ამოცანები გვაქვს დასახული. ახლა რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სულ უფრო ფართოდ ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება მიმდინარე წლისა და მთლიანად მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა და ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის.

ბ. ჯიქია,
საქართველოს კომპარტიის ქობულეთის რაიკომის პირველი მდივანი.

თესვის რიტმი

იპატოვოელ მექანიზატორთა გამოცდილ მეთოდს ფართოდ იყენებენ თესვისას გეგეჭკორის რაიონის სოფელ სერგიეთის მიწათმოქმედები. ორი კომპლექსური რგოლია შექმნილი კოლმეურნეობაში. გრაფიკის გასწრებით თესავენ სიმინდს კოლმეურნეობის მექანიზატორები.

სურათებზე: გეგეჭკორის რაიონის სოფელ სერგიეთის კოლმეურნეობის მთავარი აგრონომი რეზო ხურცილავა (მარცხნივ) და მექანიზებული რაზმის ხელმძღვანელი ხლავა თოფურია თესვისას; მექანიზებული რაზმი სიმინდს თესავს კოლმეურნეობის ყანებში.

ი. ჟოხონელიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

კოლეგების ავტორიტეტული აზრი

ქართული სატელევიზიო კინოს დღევანდელი დღის, მისი განვითარების პერსპექტივების შესახებ საინტერესო და ნაყოფიერი დისკუსიის ტრიბუნა გახდა სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირის ტელევიზიის სრულიად საკავშირო კომისიის გამსვლელი პლენუმი, რომელიც თბილისში გაიმართა. პლენუმი მიეძღვნა საქართველოს სატელევიზიო კინოს ახალგაზრდა რეჟისორთა ნამუშევრებში ეროვნული ტრადიციებისა და თანამედროვე თემატიკის თანაფარდობის პრობლემას.

ხუთი დღის მანძილზე პლენუმის მონაწილენი — ცენტრალური ტელევიზიის, სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირის მუშაკები, უკრაინის, ბალტიისპირეთის, ამიერკავკასიის კინემატოგრაფიისა და ტელევიზიის მოღვაწენი ეცნობოდნენ საქართველოს ტელეფილმების სტუდიის ახალ ნამუშევრებსა და ფილმებს, რომლებიც ცენტრალური ტელევიზიის შეკვეთით შეიქმნა კინოსტუდია „ქართულ ფილმში“.

პლენუმი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის თავმჯდომარემ ე. შენგელაიამ, სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირის ტელევიზიის სრულიად საკავშირო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ი. ბელიაევი გულთბილად მიესალმა პლენუმის მონაწილეებს. მან თქვა:

— თბილისი შემთხვევით როდი ავირჩიეთ ამგვარი პლენუმის მოწყობის ადგილად. ეს, უწინარეს ყოვლისა, განპირობებულია უდიდესი ინტერესით, რომლითაც მილიონობით მაყურებელი ეკიდება ქართულ სატელევიზიო კინოს. იგი საოცრად აქტუალური და თანამედროვეა, მასში შესანიშნავად არის შერწყმული მდიდარი ეროვნული მხატვრული ტრადიციები და დღევანდელი დღის მოთხოვნები. მკაფიო მხატვრული გადაწყვეტა, ქართველ ოსტატთა ნათელი წარმოდგენა ეროვნული კინემატოგრაფიის იდეურ-მხატვრული ამოცანების შესახებ საშუალებას აძლევს მათ შექმნან მაღალიდეური, სიკეთისა და ჰუმანიზმის იდეალებით, იუმორით, მწვავე პუბლიცისტურობით, ამაღლებული პოეტურობითა თუ გროტესკული პირობითობით განმსჭვალული ფილმები. საქართველოს ტელეკინოს ხელოვნება ნამდვილად ხალხური და ცოცხალია, არავისგან ნასესხები არ არის, იგი დღენიადაგ ძიებაშია და შესანიშნავად იცის, რა სურს. სწორედ ამით აიხსნება მისი დიდი წარმატება სრულიად საკავშირო და საერთაშორისო ეკრანებზე.

მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა ა. იურკოვსკიმ თავის მოხსენებაში დაწვრილებით გააანალიზა ქართული დოკუმენტური ტელეფილმები. მათი უმრავლესობა, აღნიშნა მან, მოწმობს საინტერესო თემების აქტიურ ძიებას და მათ მკაფიო მხატვრულ გადაწყვეტას. მაგალითისათვის მან დაასახელა ფილმები „ყუმლი“, „მთელი მისი სიცოცხლე“, „ზღაპარი იწყება“, „70 კითხვა“, „ექსპერიმენტი“ და სხვები.

კინოკრიტიკოსის, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის ვ. დიომინის მოხსენება მიეძღვნა მხატვრული ტელეფილმების გარჩევას. ქართულმა სატელევიზიო კინემატოგრაფმა, ხაზგასმით აღნიშნა მომხსენებელმა, მთელი თავისი კომპლექსით მიიპყრო საბჭოთა და საზღვარგარეთელი მაყურებლების ყურადღება. მისი პოპულარობა გამოწვეულია რეჟისურის მაღალი პროფესიონალიზმით, გმირის შინაგანი სამყაროს, ხასიათის გამოვლინების ტენდენციის სტაბილურობით. რეჟისორები სცენარისტებთან ერთად თავიანთ ქალაქში, ნაცნობ-მეგობრებს შორის ეძებენ იმათ, ვინც აღმოჩნდება მათი გმირი, და არა უბრალოდ ითამაშებს, გამოსახავს მას. ესეც ქართული ტელეფილმის შესანიშნავი და დამახასიათებელი თავისებურებაა. უკანასკნელი ორი-სამი წლის მანძილზე ახალგაზრდა რეჟისორების მიერ შექმნილი ფილმების უმრავლესობა უმაღლეს შეფასებას იმსახურებს. უწინარეს ყოვლისა, აქ საინტერესოა მწვავედ დაყენებული პრობლემა — ადამიანი და საზოგადოება. ეს პრობლემა ხატოვნად არის ხორცშესხმული ფილმებში „ორმო“, „მოსამართლე“, „მომეხმარეთ იალბუზზე ასვლაში“ და სხვ. მაღალი პროფესიონალიზმით გამოირჩევა ფილმები „მიზანი“, „სუფთა დაფა“, რომლებშიც გვხიბლავს რეჟისურა, მსახიობთა ბრწყინვალე თამაში.

ქართული სატელევიზიო კინემატოგრაფის განვითარების ძირითადი მიმართულებებისა და ტენდენციების, თანამედროვე ეტაპზე შემოქმედებითი ახალგაზრდობის წინაშე დასახული პრობლემების შესახებ ილაპარაკეს ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატმა ქ. წერეთელმა, პლენუმზე გამოსულმა რეჟისორებმა, კრიტიკოსებმა და კინოდრამატურგებმა.

საბჭოთა სატელევიზიო კინოს ოსტატები იყვნენ კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ და საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდიაში, გაეცნენ მათს შემოქმედებითს გეგმებს სსრ კავშირის შექმნის მესამოცე წლისთავისათვის. (საქინფორმი).

ინდოელი სტუმრები

22 მაისს საქართველოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრმა დ. ი. ჩხიკვიშვილმა მიიღო ინდოეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს მინისტრის პირველი მოადგილე, სახელმწიფო მდივანი ანა მალჰოტრა. დელეგაცია, რომელიც მონაწილეობდა სახელმძღვანელოების საკითხთა საბჭოთა კავშირ-ინდოეთის შერეული კომისიის XIII სესიის მუშაობაში, თბილისში ჩამოვიდა რესპუბლიკის სახალხო განათლების სისტემის გასაცნობად.

დ. ი. ჩხიკვიშვილი სტუმრებს ესაუბრა ქართველი ხალხის ისტორიისა და ძველი კულტურის, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში საბჭოთა საქართველოს მიღწევათა შესახებ. მან სტუმრებს გააცნო რესპუბლიკაში მიღებული სახალხო განათლების სისტემა, უპასუხა სტუმრების კითხვებზე.

დელეგაციის წევრთა სახელით ა. მალჰოტრამ მადლობა გადაიხადა გულთბილი მასპინძლობისათვის.

იმავე დღეს ინდოელი სტუმრები ეწვივნენ საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტს, გაეცნენ მისი კათედრებისა და ლაბორატორიების მუშაობას. (საქინფორმი).

ნოღაეთში ცხვარმა იზარალა

მკაცრი ზამთრის დამაფიქრებელი პროცენტები

გასულ შემოდგომაზეც ჩვეულ გზას დაადგნენ დუშელი, ყაზბეგელი, ლენინგორელი, თიანელი და ჯაველი მეცხვარეები. ჯერ დარიალის ვიწროები გაიარეს, მერე ტრამალები და ყიზლარის ზამთრის საძოვრებზე ჩავიდნენ. თითქოსდა ბევრი საფიქრალი არ ჰქონდათ — კარგი საცხოვრებელი ბინები, საიმედოდ აშენებული ფარეხები, საკვებიც იმაზე მეტი დაეგროვებინათ, ვიდრე გასულ წლებში...

პირველი ელდა მაშინ ეცათ მეცხვარეებს, როცა საძოვრები გადამხმარი დახვდათ. ცხვარი უხალისოდ ჭამდა გვალვისაგან გაუხეშებულ ბალახს.

გამოცდილი, მრავალსიძნელეგამოვლილი მწყემსები ამბობდნენ: წლეულს მკაცრი, დიდი ზამთარი დაგვიდგებაო. ახლა ყველას გული გვწყდება, რომ მათ ნათქვამს ისე არ აღვიქვამდით, როგორც საჭირო იყო. ამ ნაუბარმა ჩვეულებრივ მასლაათად ჩაიარა და მან საჭირო, საგანგაშო ზარი ვერ ჩამორეკა. მერე, როცა ნოღაეთის ტრაგედია დატრიალდა და მის გამომწვევ მიზეზებზე დაიწყეს ლაპარაკი, რესპუბლიკურ და საკავშირო შეჯიბრებაში მრავალგზის გამარჯვებული მლეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ნ. ქარჩაიძემ თქვა: მიზეზებს ვჩხრეკთ, მაგრამ ერთი მთავარი და მნიშვნელოვანი გვავიწყდება: წარსულმა, შედარებით მშვიდად გატარებულმა წლებმა ეტყობა ჩვენი ყურადღება მოადუნა. დუშეთის რაიონში კოლმეურნეობებს სულ ახალგაზრდები ხელმძღვანელობენ. ჩვენ არ გვინახავს, არ მოვსწრებივართ ამგვარ მკაცრ ზამთარს. არ ველოდით ამ გაჭირვებას და ამიტომ დავმარცხდით.

— გაისად რომ მკაცრი ზამთარი იყოს, როგორი შედეგები გექნებათ? — ვკითხეთ თავმჯდომარეებს.

წლევანდელზე ბევრად უკეთესი, თქვეს მათ, ახლა ბევრი რამ ვისწავლეთ და ეს გამოცდილება რომ გვქონოდა, უთუოდ ნაკლები ცხვარი დაგვეხოცებოდათ.

...7 იანვარს ყიზლარში თოვდა. მერე უჩვეულო ყინვები დაიჭირა და ორ დღეში თოვლი ყინულად აქცია. მერე გაყინულ მინდორს დაათოვა. ყინვა კი უჭერდა და უჭერდა, 30 გრადუსამდე ავიდა. ცხვარი გამოყავდათ, მაგრამ ვერ აძოვებდნენ. დამშეული ცხვარი ფეხებით მუშაობდა: ჩვეულებისამებრ, თოვლს კი თხრიდა, მაგრამ მერე ყინულს ვერაფერს აკლებდა, ცხვარს სისხლი სდიოდა ჩლიქებიდან.

გავიდა ერთი კვირა, მეორე, მესამე, ამინდი არ გამოკეთებულა. ფარებში დოლი დაიწყო და მეცხვარეების ეს ჩვეულებრივად საზეიმო პერიოდი, მართლაც რომ, ტრაგედიად გადაიქცა. დაუძლურებული ცხვარი სუსტ ბატკანს იგებდა. სიცივისა და შიმშილისაგან ცხვარს რძე უშრებოდა. ბატკანმა კი თუ ხსენი არ მოწოვა, ისე არ გადარჩება. იხოცებოდნენ ნერბები, უფრო მეტად კი ბატკნები. იმიტომ, რომ მწყემსები იძულებული ხდებოდნენ ნერბების გადასარჩენად უიმედო ბატკნები გადაეყარათ.

მაშინ მეცხვარეს ამბავს ვერ ჰკითხავდი, ვერ დაამშვიდებდი. კრიჭაშეკრულები იყვნენ და მათი შემხედვარე, იტყოდი, ამ ხალხმა სიცოცხლისადმი ინტერესი დაკარგაო. ამას ნამდვილ, ტრადიციულ მეცხვარეებზე გეუბნებით, და არა იმათზე, ვინც რამდენიმე თვით აიღებს ხოლმე კომბალს, აქაოდა, ჯამაგირს კარგად მიხდიანო.

გავიდა ერთი თვე. თოვლი და ყინვა მძვინვარებდა. ცხვარი ყველას ბაგურ კვებაზე ჰყავდა. თივას აძლევდნენ, და ბარემ ისიც ვთქვათ, რომ ამ გაჭირვებაშიც კი ცხვარი უხეშ თივას უხალისოდ წიწკნიდა.

კომბინირებული საკვები ზოგჯერ დღეობით იგვიანებდა. იყო ერთი დეპეშების გაგზავნა-გამოგზავნა, თავმჯდომარეების სიარული მარნეულსა და ბათუმში, ერთი მეორესთან სასესხებლად დადიოდნენ. რას იზამდნენ, გაჭირვება საერთო იყო და ჰქონდათ თუ არ ჰქონდათ, ერთიმეორეს შეძლებისდაგვარად ხელს უმართავდნენ.

გულისტკივილით გამოჰყავდათ მეცხვარეებს ფარები დასაწყლულებლად. ისეთი ყინვა იყო, ხესა და ქვას ხეთქავდა და ცხვარს რაღას უზამდა. ყოველ ასეთ გამოსვლაზე ფარებს რამდენიმე ცხვარი აკლდებოდა.

46 დღეს მძვინვარებდა ყინვა ნოღაეთში. ლენინგორელებს 9.708 ცხვარი და ბატკანი დაეხოცათ — მთელი რაოდენობის 8 პროცენტი, დუშელებს — 15 ათას 957 ცხვარი და ბატკანი, ანუ 11 პროცენტი, ყაზბეგელებს — 22 ათას 558 ცხვარი და ბატკანი, ანუ 13 პროცენტი, თიანელებს—8.015 ცხვარი და ბატკანი, ანუ მთელი სულადობის 22 პროცენტი. ჯაველებს? ამ რაიონის როკის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის მაჩვენებელს არ ვიცით, როგორი ადგილი მივუჩინოთ. მეურნეობას (დირექტორი — ახსარ პლიევი) მთლიანი სულადობის მხოლოდ 5,5 პროცენტი ცხვარი და ბატკანი დაეხოცა. ეს რა თქმა უნდა, კარგია. მაგრამ ვის რაში სჭირდება ასეთი „გმირობა“, როცა მეურნეობას მთელ ცხვარში ნერბები მხოლოდ 37 პროცენტი ჰყავს. ამიტომაც შარშანაც 22 ათასი მანეთი იზარალეს. თუ ცხვრის გამრავლებაზე არ იფიქრებენ, საინტერესოა, დარიალზე ფუჭად რაღას გადადიან და გადმოდიან?

ავი მაგალითები

— **ნოღაეთში** ამ ზამთარს თითქმის მეცხვარეობის ყველა ფარა დაზარალდა, — გვითხრა ყიზლარის ზამთრის საძოვრების მართვის გაერთიანების თავმჯდომარემ რ. აბაშიძემ.

ცხვარი დაეხოცა ლენინგორის რაიონის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობას (დირექტორი — შ. ქურთაული), დუშეთის რაიონის მაღაროსკარის, მლეთისა და გუდამაყრის კოლმეურნეობებს (თავმჯდომარეები — ა. ტუნტურიშვილი, ნ. ქარჩაიძე და ვ. ბექაური), ყაზბეგის რაიონის სნოს, კობის, სიონის და ყაზბეგის კოლმეურნეობებს (თავმჯდომარეები — მ. გელაშვილი, ჰ. ბატაევი, ა. დავითაშვილი, დ. სუჯაშვილი), თიანეთის მეცხვარეობის სამეურნეობათაშორისო საწარმოს (დირექტორი — მ. გორთამაშვილი), მაგრამ ზარალიც არის და ზარალიც.

ლენინგორის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობას 1 იანვრისათვის სულ 14 ათას 900 სული ცხვარი ჰყავდა. გეგმით გაცილებით მეტი უნდა ჰყოლოდა. ნოღაეთში ამ მეურნეობამ 2 ათასი სული ცხვარი და ბატკანი დაკარგა, რაც საერთო სულადობის 19 პროცენტია. დუშეთის რაიონის გუდამაყრის კოლმეურნეობას სულ 28.508 სული ცხვარი ჰყავდა. გასული 3 თვის განმავლობაში დაკარგა 2.409 სული ცხვარი და 3.094 ბატკანი. ეს სულ 5.503 სული ცხვარ-ბატკანია — თითქმის ოთხი ფარა.

— კომბინირებული საკვები დაგვაკლდა, — გვითხრა ვ. ბექაურმა და გვიჩვენა ბათუმის პურკომბინატიდან 25 მარტს გამოგზავნილი დეპეშა, რომელიც იტყობინებოდა საკვების ორი სატვირთო ვაგონით გამოგზავნას, მაგრამ 10 აპრილსაც არ ჩანდა ის ვაგონები.

— 40 წელიწადია ცხვარში დავდივარ, — გვითხრა ბრიგადირმა ი. წიკლაურმა — ასეთ ხანგრძლივად ცივ ზამთარს არ მოვსწრებივარ. მაგრამ ბინები კარგი გვაქვს და, ალბათ, ამდენი ცხვარი არ დაიხოცებოდა, კომბინირებული საკვებით კარგად რომ მოვემარაგებინეთ. იანვარ-თებერვალში, როცა განსაკუთრებით ჭირდა, 427 ტონა საკვები უნდა მიგვეღო, ჩვენ კი 298 ტონა ძლივს გვაკუთვნეს.

გუდამაყრის კოლმეურნეობის ახალგაზრდა თავმჯდომარეს ვ. ბექაურს გულისტკივილით უნდა ვუთხრათ: მას არაფრით არ ეპატიება ის, რომ მთელი ორი თვის — და მერე როგორი ორი თვის! — განმავლობაში ერთხელაც არ დაადგა ფეხი ნოღაეთში, საკუთარი თვალით არ ნახა თავისი კოლმეურნეობის ცხვარმეცხვარეთა გასაჭირი.

სოფლის მეურნეობის სამინისტრო და საგამოძიებო ორგანოები ირკვევდნენ ჩვენს მუშაობას, გუდამაყრიდან ვერსად ვერ მივდიოდით, გვითხრა ვ. ბექაურმა.

ნოღაეთის ავი დარის ამბავი იმ შემმოწმებლებმაც კარგად იცოდნენ. ვ. ბექაურს ერთი რომ გაებრძოლა და ეთქვა: მე გამქცევი არა ვარ, გუდამაყარს ცხვარი ეხოცება, ჯერ მათ მივხედავ და მერე შემამოწმეთო, ვინ გადაუდგებოდა წინ?

„იმ საქმეების მოგვარებას“ ყველაზე კარგად ის უშველიდა, თუ კომბინირებული საკვების ამბავს თვითონ გაარკვევდა და მეცხვარეებსაც მხარში ამოუდგებოდა. გვჯერა, რომ მაშინ უთუოდ ნაკლები ცხვარი დაიხოცებოდა და ბატკნის მიღების პროცენტიც ყველაზე მცირე არ ექნებოდა.

ყაზბეგის რაიონის სნოს კოლმეურნეობის თავმჯდომარეს მ. გელაშვილს რომ მოუსმინოთ, შეიტყობთ, რომ, როდესაც შარშან 5 ოქტომბერს მთიდან წამოვიდნენ, გადმოსარეკ ტრასაზე კარგი ბალახი არ დახვდათ, მერე ნოღაეთშიც არ ვარგოდა საძოვრები, როცა ძალიან აცივდა, ცხვარი ბაგურ კვებაზე დაუყენებიათ და დღეში 11 ტონა საკვებს ხარჯავდნენ.

აბა, როგორ ვასწავლოთ ისეთ გამოცდილ სამეურნეო მუშაკს, როგორიც ამხ. მ. გელაშვილია, რომ, რაკი ცხვრის გადმოსარეკი ტრასები არ ვარგოდა, და არც ნოღაეთის ბალახს ჰქონდა ყუათიანობა, თუ საჭირო ხარისხის თივას და საკმარისი რაოდენობის საკვებს არ მოიმარაგებდნენ, სავალალო შედეგი იქნებოდათ. დაუძლურებულმა ცხვარმა ხანგრძლივი ზამთრის გამოცდას ვერ გაუძლო, თანაც 2-3 დღე შიმშილობდნენ, კომბინირებული საკვები წყვეტილად მოსდიოდათ. მთლიანი სულადობის 15,4 პროცენტი ცხვარი და ბატკანი დააკლდათ სნოელებს.

კობის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე — ჰ. ბატაევი) 6.400 ცხვარი და ბატკანი გაუწყდა.

აი, რა გვიამბო ამის შესახებ კობის კოლმეურნეობის მეცხვარეობის მეორე ფერმის გამგემ ფ. რუბაევმა:

— საკმარისი თივა და კომბინირებული საკვები რომ გვქონოდა, ამდენი ცხვარ-ბატკანი არ დაიხოცებოდა. წამობრძანდით, გიჩვენებთ მარნეულის პურკომბინატიდან გამოგზავნილ კომბინირებულ საკვებს, ვერ გაარკვიეთ, რა ურევია — ცეოლითების ქვიშა? ფაქტია, რომ, როდესაც ის საკვები ცხვარს მივეცით, აწყინა და დაგვეხოცა. ჩვენ ჩვენი გაჭირვება გვადგა, ესღა გვინდოდა? მთავრობა, ალბათ, გამოარკვევს და იმ ამბის ჩამდენებს კიდევაც დასჯის, როგორც სახალხო საქმის მოღალატეებს. გულბოროტი კაცი ნამდვილად არა ვარ, მაგრამ მინდა, რომ სხვამაც ჭკუა ისწავლოს და საერთო საქმის ერთგული იყოს.

— სტიქია — თავისთავად, საკვების წყვეტილად მომარაგებაც სერიოზული მიზეზია, მაგრამ ამ ზარალში თვად მეცხვარეებს თუ მიუძღვით ბრალი? — ვკითხეთ ფ. რუბაევს.

— ნამდვილ მეცხვარეს ბრალი არ მიუძღვის, — გვითხრა ფერმის გამგემ. — ვისაც ცხვარი უყვარს და მისი ყადრი იცის, იმან ნაკლებად იზარალა. ვინც ცხვარს მარტო ისე უყურებს, როგორც გამდიდრების წყაროს, მას ხომ მეცხვარის სული არ უდგას და გაჭირვებაში დაიბნა კიდევაც.

მერე ჩვენთან მოსაუბრემ ორი მაგალითი მოიყვანა. ყ. კალაგოვის ბრიგადა 2,100 სულ ცხვარს უვლის. სტიქიამ მას სულ 250 ცხვარი და ბატკანი გაუწყვიტა. ვ. ზაქაიძის ბრიგადასაც 2.100 ცხვარი ჰყავს მოსავლელი (ორივე ბრიგადის ფარები ერთ საძოვარზე, ახლოს ბინადრობენ) და მას 450 ცხვარ-ბატკანი გაუწყდა. მიზეზი? მიზეზი ის გახლავთ, რომ ყ. კალაგოვის ბრიგადაში გამოცდილი მეცხვარეები მუშაობენ. ზამთარ-ზაფხულს ისინი უვლიან თავიანთ ფარებს. აი, ვ. ზაქაიძის ბრიგადაში კი ბევრნი არიან დაქირავებული მწყემსები, მათ ფარებს ზამთარში სხვა უვლის, ზაფხულში კიდევ — სხვა. ცხვარი ხან ვის ხელშია და ხან ვის ხელში. მწყემსთა ეს მონაცვლეობა კი საბოლოოდ ცუდ შედეგს გვაძლევს, ცხვარი ზარალობს.

მარტოოდენ ორი-სამი თვით დაქირავებული მწყემსები ვერც ცხვრის მოვლას სწავლობენ და არც მის ყადრი იციანო, გულისტკივილით გვითხრეს კობელმა სარქლებმა.

თიანეთის მეცხვარეობის სამეურნეობათაშორისო საწარმოს ცხვარი საუკეთესო ფარეხებში დგას. გაუმჯობესდა მეცხვარეთა სამუშაო პირობები. კარგი ბინები აქვთ, წყალიც გაიყვანეს და ელექტროსინათლეც. პარტიის რაიონული კომიტეტი ამ ამბებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. მაგრამ გამოდის, რომ თიანეთის ცხვარს პატრონი მაინც არა ჰყავს. აი, ახლა საჯაროდ ვეკითხებით მეურნეობის დირექტორს მ. გორთამაშვილს, განა რა უბედურება მოხდა ისეთი, რომ 27.045 სულიდან (1 იანვრისათვის კი გეგმით 30.000 სული უნდა ყოფილიყო) 8.015 ცხვარი და ბატკანი დაიხოცა? სულ 8.295 ბატკანი მიიღეს წლეულს თიანელმა მეცხვარეებმა და აქედან მხოლოდ 4.133 ბატკანიღა ჰყავდათ ცოცხალი. რაღა ანგარიში სჭირდება ამას. მიღებულის ნახევარზე ნაკლები ძლივს შეინარჩუნეს, ეს კი გეგმის მხოლოდ 35,5 პროცენტია.

დაუჯინებიათ, სტიქია და სტიქიაო! ჩვენ მაინც გვგონია, რომ თიანეთის მეცხვარეობის სამეურნეობათაშორისო საწარმო ასე სავალალოდ არ უნდა ჩავარდნილიყო. კიდევ ვიმეორებთ, კარგი ფარეხები ჰქონდათ, თივა და კომბინირებული საკვებიც საკმარისი მოუმარაგებიათ; მაშ რაშია საქმე?

ქ. ბუჯიაშვილი: 25 წელიწადი ვმუშაობდი მეცხვარეობის ფერმის გამგედ. ამ საქმისა ცოტა რაღაც გამეგება და გეტყვით, რომ თიანეთის ცხვრის გაწყვეტის მიზეზები ცოტა შორს, ჩვენი რაიონის მთებში უნდა ვეძიოთ. როგორც კი ზაფხულში ჩვენს მთებში ავიყვანთ ხოლმე ცხვარს, მწყემსები თავს ანებებენ და თავ-თავიანთ სახლებში მიდიან. ადგილზე ცოტანიღა რჩებიან. მერე ეს მცირენი საქმეს ვეღარ აუდიან. შარშან ზაფხულს თიანეთის მთებში ერთიანად წვიმდა. ამ დროს ბევრი მწყემსია საჭირო, რომ ცხვარმა იმოძრაოს, გადავიდეს და გადმოვიდეს, თორემ თუ ერთ ადგილას გაჩერდა, ფეხებით წყლით გაჟღენთილ მიწაში ეფლობა და ჩლიქები უზიანდება, მერე კოჭლდება. დაკოჭლებული ცხვარი რომ 700-800 კილომეტრს გაივლის, იმას რა დაემართება? დაუძლურებული და გალეუბებული ჩამოვიდა ჩვენი ცხვარი ყიზლარის ზამთრის საძოვრებზე.

— ჩლიქებდაავადებული ცხვარი, — დაკოჭლებული ჩამოვიდა მთიდან, — დაგვიდასტურა აგრეთვე მეურნეობის მეცხვარეობის განყოფილების გამგემ გ. ძებნიაურმა. — ამხელა გადასარეკი ტრასის გამოვლით დაუძლურდა და მერე მკაცრ ზამთარს ვეღარ გაუძლო.

ჯ. ძებნიაური: მძღოლი ვარ. 9 წელიწადია ცხვარ-მეცხვარეებს ვემსახურები. ზამთარში სულ ნოღაეთში ვარ, ზაფხულში — მთაში. ამ ხნის მანძილზე გამოცდილი მწყემსების მეტი რა მინახავს. ან განა სხვა რამე აქვთ კიდევ სასაუბრო, სულ ცხვარზე ლაპარაკობენ. ჰოდა, ჩემსას კი არ გეუბნებით, მათგან ვიცი, რომ რაკი ცხვარი ჩლიქებით დაავადდა და დაუძლურდა, დოლის დაწყებამდე ერთი თვით ადრე ნერბები კომბინირებული საკვებით კარგად უნდა გამოგვეკვება. მაშინ ძალა მიეცემოდათ და ასეთი ზარალიანი დოლი არ დაგვიდგებოდა, მაგრამ მაშინ ამაზე არავინ ფიქრობდა. ყველას ეგონა, რომ ზამთარი უზარალოდ ჩაივლიდა..

...და აი, სამმა მიზეზმა დააზარალა ჩვენი რესპუბლიკის ცხვარი ნოღაეთში: სტიქიამ, საჭირო ხარისხისა და რაოდენობის საკვების ნაკლებობამ და რატომღაც თბილი ზამთრის ფუჭმა მოლოდინმა.

და თუ პირველი მიზეზის ლიკვიდირება ჩვენს ხელთ არ იყო, რამ შეგვიშალა ხელი მეორე და მესამე მიზეზთან გამკლავებაში?

ახლა როცა ურემი გადაბრუნებულია, მშვენივრად ჩანს, რომ ამდენი ზარალი არ უნდა მოგვსვლოდა.

არა მარტო პამიდორითა

ახლა ნოღაეთში თბილა. ცხვარ-მეცხვარენი ტკივილს იშუშებენ. ყიზლარის ზამთრის საძოვრების მართვის გაერთიანების თავმჯდომარის რ. აბაშიძის სამუშაო კაბინეტი საბრძოლო მოქმედების შტაბს ჰგავს. დილიდანვე იწყება იმის დაზუსტება, თუ რომელმა რაიონმა, რომელმა კოლმეურნეობამ რამდენი ბატკანი შემატა ქვეყნის ფარებს.

...და აი ახლა, როდესაც ამ სტრიქონებს ვწერთ, ნოღაეთში ლეგენდად დადის ჰოპორტელ მეცხვარეთა გმირობის ამბავი.

ჰოპორტელებისა კაი პამიდორი გაგვიგია, მაგრამ ცხვარი? პირველად გვესმისო — უკვირს ყველას. და თითქოს დაუჯერებელიც არის, რომ იქვე ახლოს, სადაც თიანელებს იმდენი ცხვარი გაუწყდათ, ჰოპორტელებს მარტო „თიკნის ყური“ დააკლდათ, 1,3 პროცენტი დაეხოცათ ცხვარიც და ბატკანიც. ეს მშვიდობიანი გამოზამთრების დროსაც კი ყველა მეურნეობისათვის სანიმუშო შედეგი იქნებოდა.

ყოველ 100 ნერბზე 95 ბა
კანი უკვე ჰყავთ ჰოპორტელე
ამბობენ, 95-მდე ავლენო. ეს
რეკორდო მაჩვენებელია არა
რტო ჩვენი რესპუბლიკის ცხვა
მეცხვარეებში, არამედ მთე
ზამთრის საძოვრების ტრამალ
ზე.

აბა, მოდი და, ამის შემდ
ყველაფერი სტიქიას გადააბრალ

დუშეთის რაიონის ჰოპორტ
მეურნეობა (დირექტორი
ვ. კოზმანიშვილი) სულ ო
წლისაა. ორივე სამეურნეო წ
ლიწადი მეურნეობამ გეგმებ
შესრულებითა და მოგებით დ
მთავრა. მეცხვარეებმა და მათ
ფერმის გამგემ გ. ყორბასაშვილ
ხომ საქვეყნოდ გაუთქვეს სახე
თავიანთ სოფელს.

ცხვარი ძალიან კარგად გ
მოაზამთრა ლენინგორის რაი
ნის უკანამხრის კოლმეურნეო
„საქართველომ“ (თავმჯდომა
— ვ. ჩიტიშვილი). მთლიანი ს
ლადობის მხოლოდ 4 პროცენ
დააკლდა „საქართველოს“
ცხვარს: იმიტომ რომ აქ ტრად
ციული მეცხვარეები შრომობ
კარგად მოუარეს ცხვარს სა
ქლებმა ფ. ბალხამიშვილმა, შ. ბ
შარაულმა და სხვებმა, რომლე
მაც ყოველ 100 ნერბზე 88 ბა
კანი მიიღეს და კიდევაც მეტ
იმედი აქვთ.

ასევე, მხოლოდ 4 — პროც
ნტი დანაკლისი აქვს დუშეთ
მეცხოველეობის საბჭოთა მეუ
ნეობას (დირექტორი — თ. თე
რუაშვილი), ყაზბეგის რაიონ
კოლმეურნეობებში ყველაზე ნ
ლები ცხვარი დაეხოცათ გო
ციხელებს (თავმჯდომარე —
ავსაჯანიშვილი). ისინი ბატკ
მიღებისა და შენარჩუნების გ
მასაც შეასრულებენ.

— წლევანდელი ზარალი გ
ლსატკენია, მაგრამ გულს კი ვ
გაგვიტეხსო, თქვა ცნობილ
მთიულმა სარქალმა, სოციალ
ტური შრომის გმირმა ყ. გაგაძ
— მახსოვს, — დასძინა მან,
1953-54 წლების გამოზამთრებ
ში სტიქია მხოლოდ 12 დღ
მძვინვარებდა და ისე დაგვაზარ
ლა, ბევრნი კომბლებითღა დავ
რუნდით სახლებში. რაც წლეულ
ცხვარი გადარჩა, ეს გმირობა
მაგრამ გულს ისა სწყინს, რო
მეტის გადარჩენაც შეგვეძლო.

მეცხვარე გაუტეხელი კაცია

არავინ იფიქროს, რომ ნოღ
ეთის გაჭირვება მკაცრ ზამთარ
გაჰყვა... ყინვებისაგან ცხვარ
დაავადებულია და მას განსაკუთ
რებული მოვლა-პატრონობა სჭ
რდება.

ახლა მეცხვარეთა დღის წეს
რიგში დგას ცხვრისა და ბატკნ
შენარჩუნება.

ყველას თავისი პრობლემა აქვ
გადასაჭრელი. ზარალის მიუხე
დავად, არავის უნდა სახლ
მარტო თავნით დაბრუნებ
ყველა ნამატზე ფიქრობს.

კიდევ კარგი, რომ მეცხვარ
ბუნებით გაუტეხელი კაცია. თ
ნაც ქომაგი არ აკლია. იგივე გ
გაძეებს, წიკლაურებს, მოთი
შვილებს, მელიქიშვილებს, ფი
ხელაურებს, ქერაულებს, ჩიტ
შვილებს, ბაშარულებს რომ ჰკით
ხოთ, ყველანი ერთხმად იტყ
ვიან, ამ ზამთარს ჩვენი გაჭირვე
ბა ჩვენთან ერთად რესპუბლ
კის პარტიისა და მთავრობის ხე
ლმძღვანელმა ამხანაგებმა გადა
იტანესო.

თორემაო, — ამბობენ, ამა
თან შედარებით უფრო უმნიშ
ნელო ზამთარში კომბლებით ან
ბარა დავრჩენილვართო.

თითოეულ ცხვარსა და ბ
ტკანს დაჰკანკალებენ და იმედ
ანად ფიქრობენ ხვალინდელ
დღეზე, როცა მათი თეთრი ქარ
ვანი ისე დაამძიმებს დედამიწ
როგორც მათ სურთ, მათ გას
რებათ.

ჯ. ქურხული
„კომუნისტის“ საკ.

საქართველოს ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმი 130 წლისაა

ამ დღეებში ფართოდ აღინიშნა საქართველოს ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის 130-ე წლისთავი. ქართული კულტურის ამ უდიდესი საგანძურის იუბილეს მიეძღვნა სამეცნიერო სესია და საზეიმო სხდომა, რომლებშიც მონაწილეობდნენ ჩვენი საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

მკითხველს ვთავაზობთ სტატიას, რომელშიც დაწვრილებით არის აღწერილი მუზეუმის მიერ განვლილი გზა.

◆

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმს 130 წელი შეუსრულდა. ის პირდაპირი მემკვიდრეა 1852 წლის 10 (22) მაისს დაარსებული რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების მუზეუმისა, რომელმაც 1864 წლამდე იარსება და რომლის ბაზაზედაც 1865 წ. 2 (14) ივლისს შეიქმნა კავკასიის მუზეუმი. მას გადაეცა გეოგრაფიული საზოგადოების მუზეუმის მიერ შეგროვებული კოლექციები და საერთოდ მთელი სამუზეუმო მასალა.

თბილისში მუზეუმის დაარსება ემთხვევა იმ პერიოდს, როდესაც საქართველოში კულტურულ-ინტელექტუალური ცხოვრების ერთგვარი გამოცოცხლება იგრძნობოდა. აქვე უნდა შეინიშნოს, რომ მიუხედავად იმ დიდი მეცნიერული მუშაობისა, რომელიც მუზეუმში მიმდინარეობდა, და იმ მეცნიერული ავტორიტეტისა, რომელიც სულ მოკლე დროში მოიხვეჭა მუზეუმმა, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მას ეროვნული სახე არა ჰქონია.

კავკასიის მუზეუმი პირველი და კარგა ხანს ერთადერთი სამეცნიერო დაწესებულება იყო საქართველოსა და კავკასიაში.

ეროვნული კულტურის საგანძური

ამიტომ აქ თავი მოიყარეს საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ მეცნიერებათა მკვლევრებმა და გაჩნდა სამეცნიერო უჯრედები. ამრიგად მუზეუმში თანდათან ჩამოყალიბდა ზოოლოგიის, გეოლოგიის, ბოტანიკის, ეთნოგრაფიისა და სხვა განყოფილებები.

კავკასიის მუზეუმს მეცნიერულ ხელმძღვანელობას უწევდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემია, რომელსაც იგი ოფიციალურად დაექვემდებარა კიდეც 1913 წლიდან.

მუზეუმის ცხოვრებაში ძირფესვიანი გარდატეხა ხდება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ. იგი ამიერიდან, ახლადდაარსებულ თბილისის უნივერსიტეტთან ერთად, ქართული ეროვნული მეცნიერების სამჭედლოდ იქცა; მუზეუმი, რომელიც ადრე მოწყვეტილი იყო ქართულ მოწინავე საზოგადოებრიობას, თანდათან ივსება ეროვნული კადრებით. თითქმის ყველა გამოჩენილი მეცნიერი, გარდა ზუსტ და ტექნიკურ მეცნიერებათა წარმომადგენლებისა, ან მუზეუმის თანამშრომელი იყო, ან მასთან მჭიდროდ დაკავშირებული. საქართველოს მუზეუმში სხვადასხვა დროს მოღვაწეობდნენ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები — ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, გ. წერეთელი; წევრ-კორესპონდენტები — გრ. წერეთელი, ა. შანიძე, შ. ამირანაშვილი; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები — გ. ჩუბინაშვილი, ა. ჯანელიძე, ნ. ბერძენიშვილი, კ. კეკელიძე, ა. თვალჭრელიძე, ბ. კუფტინი, ი. კაჭარავა, ა. ბარამიძე, გ. ჩიტაია, ს. ყაუხჩიშვილი, ს. ჯიქია, წევრ-კორესპონდენტები — ა. აბულაძე, გ. ნიორაძე, ა. აფაქიძე, მ. რჩეულიშვილი, ო. ჯაფარიძე, ცნობილი მკვლევარი პ. ინგოროყვა და სხვები.

1947 წელს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს ეწოდა სახელოვანი ქართველი მეცნიერის აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას სახელი, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული მასთან და დიდი ამაგი დასდო განსაკუთრებით მის სამეცნიერო-საორგანიზაციო საქმიანობას.

მუზეუმის შემოქმედებითს ცხოვრებაში წარუშლელი კვალი დატოვა ივანე ჯავახიშვილის მოღვაწეობამ. იგი მუზეუმის საქმიანობაში ჩაება 20-იანი წლებიდან, 1931 წლიდან კი გარდაცვალებამდე მუზეუმის მეცნიერ-კონსულტანტი და ისტორიის განყოფილების ხელმძღვანელი იყო.

საქართველოში პირველად კავკასიის მუზეუმში ჩაეყარა საფუძველი ისეთ მეცნიერულ დისციპლინებს, როგორიც არის ზოოლოგია, ბოტანიკა, გეოლოგია, პალეონტოლოგია, ეთნოგრაფია, არქეოლოგია, ნუმიზმატიკა, წყაროთმცოდნეობა და სხვ. ამიტომ იყო, რომ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალისა და შემდეგ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის (რომლის სისტემაშიც საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი შევიდა დღიდან მისი დაარსებისა, 1941 წლიდან) შესაბამისი ინსტიტუტები (ზოოლოგიისა, ბოტანიკისა, გეოლოგიისა, ისტორიისა) ძირითადად მუზეუმის წამყვანი მეცნიერებით დაკომპლექტდა. 1958 წელს მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების ბაზაზე ჩამოყალიბდა ხელნაწერთა ინსტიტუტი, რომელიც დღეს კორნელი კეკელიძის სახელობისაა.

ათეული წლების მანძილზე მუზეუმში მუშავდებოდა და მუშავდება მეცნიერული პრობლემატიკა, რომელიც სცილდება საუწყებო ფარგლებს და დიდი მეცნიერული მნიშვნელობისაა. ამ სამუშაოთა შორის საგულისხმოა მუზეუმის პალეონტოლოგთა აღმოჩენები, ასევე საქართველოს მცენარეული საფარის განვითარების, საქართველოს და მიმდებარე რაიონების უდაბნოებისა და ნახევარუდაბნოების ფაუნის შესწავლის შედეგები და სხვ.

მუზეუმის პალეონტოლოგებმა უდაბნოში აღმოაჩინეს და შეისწავლეს ადამიანის მსგავსი მაიმუნის ნაშთი, რომელიც მსოფლიო პალეონტოლოგიურ სამეცნიერო ლიტერატურაში შევიდა „უდაბნოპითეკუს" სახელით (ლ. გაბაშვილი, ნ. ბურჩაკ-აბრამოვიჩი). ამ აღმოჩენას დიდი მნიშვნელობა აქვს უძველესი ადამიანის განვითარების ისტორიის შესწავლისათვის. აღნიშნულ პრობლემაზე მუზეუმი დღესაც დიდ მუშაობას ეწევა.

ქართული საბჭოთა არქეოლოგიის ჩასახვა და განვითარება განუყოფლად არის დაკავშირებული მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილებასთან, რომელსაც 1925 წელს ივანე ჯავახიშვილის რეკომენდაციით სათავეში ჩაუდგა პროფესორი გ. ნიორაძე. მისი ხელმძღვანელობით აღიზარდა ქართველ არქეოლოგთა მთელი თაობა. მუზეუმის არქეოლოგებმა დიდი ღვაწლი დასდეს არქეოლოგიურ კულტურათა გენეზისის, განვითარებისა და პერიოდიზაციის კვლევის საქმეს. აკადემიკოსმა ბ. კუფტინმა მუზეუმის არქეოლოგიური ფონდების გულდასმითი მეცნიერული ანალიზის შედეგად მოგვცა საქართველოს და ამიერკავკასიის ენეოლით-ბრინჯაოს ხანის ძეგლების პირველი მეცნიერული პერიოდიზაცია. მონოგრაფიას დიდი საერთაშორისო რეზონანსი ჰქონდა და ბ. კუფტინს, პირველს საბჭოთა არქეოლოგებს შორის სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

1936 წელს ივანე ჯავახიშვილის ინიციატივით დაიწყო საქართველოს შუა საუკუნეების ქალაქების არქეოლოგიური შესწავლა. დღემდე მუზეუმი ამ კვლევა-ძიების აქტიური მონაწილეა, დმანისის, ურბნისის, გრემის, ნოქალაქევის, გავაზის, კაზრეთის, არმაზის და სხვა გათხრებმა ბევრი რამ შესძინა საქართველოს შუა საუკუნეების არქეოლოგიას.

კვალიფიციური ეთნოგრაფიული სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა პირველად საქართველოში ფართოდ გაიშალა 1922 წლიდან, როდესაც მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებაში მოვიდნენ მაშინ ახალგაზრდა სპეციალისტები გ. ჩიტაია, ს. მაკალათია, ვ. ბარდაველიძე და სხვები. საფუძველი ეთნოგრაფიული კვლევისათვის მუზეუმში ადრეც არსებობდა. მას მყარი ნიადაგი შეუქმნა მუზეუმში ცნობილი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის რაფიელ ერისთავის მოღვაწეობამ (იგი მაშინდელი გეოგრაფიული საზოგადოების მუზეუმში მოიწვიეს 1855 წელს). ასეთი მდიდარი ტრადიციების გამო მუზეუმი იყო და რჩება ეთნოგრაფიული მეცნიერული კადრების სამჭედლოდ.

მუზეუმში ჩაეყარა საფუძველი ნუმიზმატიკას, როგორც მეცნიერულ დისციპლინას, ნუმიზმატიკის განყოფილებაში, სადაც მრავალი უნიკალური და იშვიათი მონეტაა დაცული, აწ განსვენებულთა — დოცენტ თ. ლომოურისა და პროფესორ დ. კაპანაძის ხელმძღვანელობით აღიზარდა უკლებლივ ყველა ქართველი ნუმიზმატი.

მუზეუმის ქიმიურ-სარესტავრაციო ლაბორატორია ერთადერთი სამეცნიერო უჯრედია საქართველოში, რომელიც წმინდა კამერალური და სარესტავრაციო საქმიანობის გარდა ეწევა არქეოლოგიური და საერთოდ სამუზეუმო ექსპონატების ქიმიურ-ტექნოლოგიურ, მეტალოგრაფიულ და სხვა შესწავლას.

რელიგიის ისტორიისა და მეცნიერული ათეიზმის განყოფილება თავის ძირითად საქმიანობას წარმართავს შემორჩენილი დღესასწაულების მეცნიერული ფიქსაციის, ახალი სოციალისტური დღესასწაულებისათვის რეკომენდაციების შემუშავების და ათეისტური პროპაგანდის განხორციელების ხაზით. განყოფილებამ მრავალი წლის საველე-საძიებო სამუშაოების შედეგად შეძლო კინოფირზე აღებეჭდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ჯერ კიდევ შემორჩენილი რელიგიური რიტუალები, ეთნოგრაფიული ყოფა, სულიერი კულტურის ძეგლები, რაც დაედო საფუძვლად რამდენიმე სრულმეტრაჟიანი ფილმის შექმნას („თუშეთი", „ხევსურეთი", „ფშავი" და სხვ.).

მუზეუმის სამეცნიერო საქმიანობის მაღალ დონეზე წარმართვას განსაკუთრებით უწყობს ხელს მდიდარი ბიბლიოთეკა, რომელიც ფუნქციონირებს დღიდან მუზეუმის დაარსებისა. დღეს მუზეუმის ბიბლიოთეკის წიგნის ფონდი 300 ათას ტომს აღწევს, სადაც საკმაოდ მოზრდილ რარიტეტულ ფონდს შეადგენს იშვიათი ძველი გამოცემები. ყველაზე ადრეული ბეჭდური გამოცემები 1511-1527 წლებით არის დათარიღებული.

მუზეუმის მეტად საჭირო დამხმარე უჯრედია მისი ფოტოარქივი. აქ დაცულია საქართველოს და კავკასიის, აგრეთვე მეზობელი ქვეყნების არქიტექტურული და არქეოლოგიური ძეგლების, დასახლებული ადგილების, ლანდშაფტის, სამუზეუმო ნივთების, ისტორიულ პირთა 100 ათასზე მეტი ფოტოსურათი და ფირი.



საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი სამეცნიერო ცოდნის პროპაგანდის უმნიშვნელოვანესი კერაა. მისი თითოეული ექსპოზიცია იყო თავისებური ეტაპი, რომელიც სათანადო სამეცნიერო დისციპლინის თანადროულ დონეს ასახავდა და ქართული საბჭოთა მეცნიერების უმთავრესი მიღწევების ფართო მასებისათვის ხელმისაწვდომ და გასაგებ პუბლიკაციას წარმოადგენდა.

საექსპოზიციო საქმიანობის აღმავლობა 20-იანი წლების ბოლოდან დაიწყო და საფუძველი დაედო მაღალმხატვრული და მაღალმეცნიერული „ზოოლოგიური" გამოფენით, რომლის შესახებაც აღფრთოვანებით წერდა მ. გორკი 1928 წელს თავის „პო სოიუზუ სოვეტოვში". 1930-1931 წლებში მოეწყო რამდენიმე გამოფენა — „მინერალური რესურსების" (ა. თვალჭრელიძე, ი. რუხაძე); „სასოფლო სამეურნეო მავნებლების" (ი. ჩხიკვიშვილი); „ქართული ხელსაქმის" (ი. სონღულაშვილი); „სვანეთის და ხევსურეთის ეთნოგრაფიული ყოფის" (გ. ჩიტაია) და სხვ. ყველა გამოფენა მხატვარ ი. შარლემანის გაფორმებული იყო. განსაკუთრებით აღსანიშნავია 1930 წელს გ. ჩუბინაშვილის ხელმძღვანელობით ძველი ქართული ხელოვნების ძეგლების გამოფენის მოწყობა გერმანიაში (ბერლინი, კიოლნი, ლაიფციგი და მიუნხენი). ეტაპური გამოფენები იყო გ. ნიორაძის და ბ. კუფტინის მიერ 1934 წელს მოწყობილი ექსპოზიცია — „წინაკლასობრივი საზოგადოება ამიერკავკასიაში" (მხატვრები — შარლემანი, ვატაგინი, დ. ციციშვილი); ს. ჯანაშიას და ბ. კუფტინის მიერ 1941 წელს მოწყობილი გამოფენა — „ქართული კულტურის კერები — თრიალეთი და მცხეთა"; გ. ჩიტაიას ხელმძღვანელობით განხორციელებული ერთიანი ეთნოგრაფიული ექსპოზიცია (ძველი და ახალი ყოფა,, 1954 წ.); 1937 წელს ა. ჯანელიძის და ქ. გაბუნიას ხელმძღვანელობით მოწყობილი· გამოფენა „საქართველოს მინერალური რესურსები" და სხვა მრავალი.

ცალკე უნდა მოვიხსენიოთ ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით შექმნილი გამოფენა — „შოთა რუსთაველი და მისი ეპოქა", რომელიც მიეძღვნა რუსთაველის იუბილეს და ფუნქციონირებდა 1937-1952 წლებში. თავისი მასშტაბურობით, მეცნიერული სიღრმით და ექსპონირებული მასალის სიუხვით აღნიშნულ გამოფენას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. გამოფენამ მტკიცე საფუძველი შეუქმნა და მდიდარი ტრადიციები დაუმკვიდრა შემდგომ საექსპოზიციო სამუშაოებს.

დღეს მოქმედი საქართველოს არქეოლოგიური ექსპოზიცია ერთ-ერთი საუკეთესოთაგანია ჩვენში. აქ ახლებურად არის გადაწყვეტილი საგამოფენო მასალის შერჩევისა და მხატვრული გაფორმების ბევრი მნიშვნელოვანი მხარე (ხელმძღვანელი — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ა. ჯავახიშვილი, მხატვარი — ა. ვარაზი). პოპულარულია აგრეთვე „შუა საუკუნეების მატერიალური კულტურის (ხელმძღვანელი — პროფესორი პ. ზაქარაია) და საქართველოს ახალი ისტორიის გამოფენები (ხელმძღვანელი — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი შ. ლომსაძე).

1967 წელს მუზეუმმა პირველად რესპუბლიკაში შექმნა საბჭოთა საქართველოს ისტორიის ამსახველი ექსპოზიცია (ხელმძღვანელი — აწ განსვენებული ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ნ. შველიძე), რითაც მივიღეთ საქართველოს ნივთიერი კულტურისა და ისტორიის გაბმული ექსპოზიცია უძველესი დროიდან თანამედროვეობამდე. აღნიშნული ექსპოზიციის ბაზაზე გასულ, 1981 წელს მოეწყო საბჭოთა საქართველოს ისტორიის ახალი ვრცელი გამოფენა, რომელიც მიეძღვნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 60 წლისთავს (ხელმძღვანელი დოცენტი გ. ჩხაიძე).

ძველი ქართული ოქრომჭედლობის განვითარების ამსახველი თემატური, განახლებული ექსპოზიცია („სეიფი"), რომელიც 1980 წელს გაიხსნა, იშვიათი და უნიკალური მასალების სიუხვით, სრულყოფილი საგამოფენო ხერხების გამოყენებით თანამედროვე ეტალონების დონეზე შესრულებული გამოფენაა, რომელმაც სულ მოკლე ხანში საერთაშორისო აღიარება პოვა.

მუზეუმის ექსპოზიციაში სამუზეუმო კოლექციების მხოლოდ მცირე ნაწილია გამოფენილი, ნივთების დიდი უმეტესობა დაცულია ფონდებში, რომელთა დაცვის, აღრიცხვისა და სათანადო მოვლა-პატრონობის მნიშვნელოვან საქმეს ემსახურება სამუზეუმო ფასეულობათა დაცვისა და აღრიცხვის განყოფილება.

ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე კავკასიის მუზეუმს 5—6 მეცნიერი თანამშრომელზე მეტი არასოდეს არ ჰყოლია. დღეს მუზეუმის 13 განყოფილებაში და 3 ლაბორატორიაში მუშაობს 270 თანამშრომელი. მათ შორის 140 მეცნიერი მუშაკია, რომელთაგან 9 მეცნიერებათა დოქტორი და 70 კანდიდატია.

მუზეუმს დღეს ორი ფილიალი აქვს; სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი (მესტიაში) და სამცხე-ჯავახეთის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიული მუზეუმი (ქ. ახალციხეში).

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი მძლავრი სამეცნიერო-კვლევითი და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებაა 130 წლიანი მდიდარი ტრადიციებით და გამოცდილებით. დღეს სამუზეუმო ცხოვრება საერთოდ მაღალი დონით ხასიათდება და თანამედროვეობა მას გაზრდილ მეცნიერულ და ინტელექტუალურ მოთხოვნებს უყენებს, რომლის განხორციელებასაც მძლავრი, თანამედროვე პირობების შესაბამისი მატერიალური და ტექნიკური ბაზისი ესაჭიროება. ეს საკითხი მუზეუმთან დაკავშირებით უკანასკნელი 8-10 წლის განმავლობაში არაერთხელ გამხდარა რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოების ზრუნვის საგანი, რომელთაც ჯეროვანი ყურადღება მიაქციეს მუზეუმის მდგომარეობას, მისი მუშაობის გაუმჯობესების ეფექტიანი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის აუცილებლობის საკითხებს. გასულ წელს აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით ცენტრალურმა კომიტეტმა გამოყო მთავრობის საგანგებო კომისია, რომლის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების საფუძველზეც ამა წლის იანვარში ცენტრალურმა კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ მიიღეს ერთობლივი ფრიად მნიშვნელოვანი დადგენილება მუზეუმის შემდგომი განვითარების შესახებ.

აღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად მუზეუმს საშუალება ექნება ფართოდ გაშალოს სამუშაოები — მოაწყოს საქართველოს ბუნების, ნივთიერი კულტურის და ყოფის ამსახველი ვრცელი ექსპოზიციები და, რაც მთავარია, მუზეუმის მდიდარი კოლექციების დაბინავების და დაცვის საკითხები საბოლოოდ იქნება გადაწყვეტილი და საიმედოდ უზრუნველყოფილი.

ლ. ჭილაშვილი,
ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი, პროფესორი.



სურათებზე: ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის შენობა; ოქროს სასაფეთქლე საკიდი (ახალგორი, ძვ. წ. IV საუკუნე); ოქროს ყელსაბამი (არმაზისხევი, ახ. წ. II საუკუნე).

თათბირობენ მუზეუმების მუშაკები

ერევანი. ერთი კვირის განმავლობაში ერევანში მიმდინარეობდა საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის მუზეუმების მუშაკთა რეგიონალური თათბირ-სემინარი, რომელმაც განიხილა ამ ორგანიზაციების სამეცნიერო-საფონდო საქმიანობის სრულიად საკავშირო დათვალიერების მიმდინარეობა. ამიერკავკასიის რესპუბლიკების წარმომადგენლებთან ერთად მასში მონაწილეობდნენ მოსკოვის, რუსეთის სფს რესპუბლიკის სხვა ქალაქების სპეციალისტები.

სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი შეხვედრის დროს განხილულ იქნა მუზეუმების სამეცნიერო მუშაობის მთელი რიგი აქტუალური პრობლემები. მოხსენებებსა და ცნობებში, კერძოდ, აღინიშნა მიღწევები და ნაკლოვანებანი საბჭოთა საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური და სულიერი განვითარების, ძირითად მიმართულებათა პროპაგანდის დარგში, ფონდების კოლექციების დაგეგმვისა და დაკომპლექტების ფასეულობათა კლასიფიკაციისა და მეცნიერული აღწერის, მათი რესტავრაციისა და შენახვის პრინციპები, ექსპოზიციათა გამოყენების ფორმები და მეთოდები.

სემინარის მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს მუშაობის გამოცდილება, დაათვალიერეს სომხეთის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმის, რესპუბლიკის სხვა საცავების ექსპოზიციები და ფონდები. განისაზღვრა სამუზეუმო საქმის სპეციალისტთა მუშაობის შემდგომი ამოცანები.

(არმენპრესი — საქინფორმი).

---

22 მაისი

საერთაშორისო ცხოვრება

დედამიწის ზურგზე

საქდესისა და ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები გვატყობინებენ

ფაქტები მოვლენები

● რუმინეთი

აირჩიეს ახალი შემადგენლობა

ბუქარესტი. გაიხსნა რუმინეთის დიდი ეროვნული კრების სესია. მან აირჩია რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ახალი შემადგენლობა, მოახდინა ცვლილებანი რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს შემადგენლობაში.

რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის ახალ პრემიერ-მინისტრად არჩეულია რუმინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტაღმასკომის წევრი კ. დასკალესკუ, პრემიერ-მინისტრის პირველ მოადგილეებად — რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტაღმასკომის წევრები ე. ჩაუშესკუ, გ. ოპრია და ი. დინკე. წინანდელი პრემიერ-მინისტრი ი. ვერდეცი დანიშნულია სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

კულტურის ქრონიკა

დამსახურებული აღიარება

რუსთაველის თეატრის დიდი წარმატება მექსიკაში

მეხიკო. მექსიკაში დიდი წარმატებით მიმდინარეობს საქართველოს რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის დასის გამოსვლები. საბჭოთა მსახიობებმა მექსიკელ მაყურებლებს გააცნეს ერთ-ერთი თავიანთი უკანასკნელი ნამუშევარი უ. შექსპირის პიესის მიხედვით შექმნილი სპექტაკლი „რიჩარდ მესამე". ქალაქ გუანახუატოში ორი გამოსვლის გარდა, მზიური საქართველოს წარგზავნილებმა უკვე ექვსი წარმოდგენა გამართეს მექსიკის დედაქალაქში.

მათმა წარმატებამ ყველა მოლოდინს გადააჭარბა. ჩაპულტეპეკის ცნობილ პარკში მდებარე თეატრი „ბოსკე" ყოველ საღამოს გაჭედილია დრამატული ხელოვნების მოყვარულებით. სულ უფრო იზრდება მაყურებელთა ინტერესი შექსპირის ცნობილი ტრაგედიის რუსთაველელთა ინტერპრეტაციისადმი.

ადგილობრივმა პრესამ მაღალი შეფასება მისცა ქართველი მსახიობების ოსტატობას. აღნიშნავენ მაღალ პროფესიულ ოსტატობას, თამაშის გამომსახველობასა და პლასტიკას, რაც მაყურებლებს საშუალებას აძლევს გაიგონ სცენაზე მოვლენების განვითარების ყველა პერიპეტია, მიუხედავად იმისა, რომ სპექტაკლი ქართულად მიმდინარეობს.

ადგილობრივი თეატრალური კრიტიკა განსაკუთრებით გამოყოფს მთავარი როლის შემსრულებლის, სსრ კავშირის სახალხო არტისტის რამაზ ჩხიკვაძის ბრწყინვალე თამაშს, სპექტაკლის დამდგმელის, თეატრის მთავარი რეჟისორის, საქართველოს სსრ სახალხო არტისტის რობერტ სტურუას ჩინებულ ნამუშევარს.

რუსთაველის სახელობის თეატრი მექსიკაში მეორედ არის გასტროლებზე. წინათ 1977 წელს ქართველმა მსახიობებმა მექსიკელ მაყურებლებს უჩვენეს ბერტოლდ ბრეხტის პიესა „კავკასიური ცარცის წრე". ჯერ კიდევ მაშინ თბილისელი მსახიობების მაღალმა სცენურმა ოსტატობამ მიიპყრო მაყურებლების, თეატრალური კრიტიკოსებისა და ხელოვნებათმცოდნეების ყურადღება. და აი კვლავ დამსახურებული აღიარება და უმაღლესი შეფასება.

ინგლის-არგენტინის კონფლიქტი

შეჭრა დაიწყო

21 მაისს ზღვიდან ინტენსიური საარტილერიო ცეცხლის დაშენისა და ჰაერიდან არგენტინის პოზიციების დაბომბვის შემდეგ ინგლისელებმა ფოლკლენდის (მალვინის) კუნძულებზე გადასხეს მედესანტეთა რაზმები. გადასხდომის ადგილებში ბრძოლები გაჩაღდა.

როგორც ვარაუდობენ, ინგლისმა დაიწყო ფართო მასშტაბის სამხედრო ოპერაცია კუნძულების ხელში ჩასაგდებად.

ინგლისის მხრივ ოპერაციაში მონაწილეობს 22 ათასი ჯარისკაცი, 28 საბრძოლო ხომალდი, 50 დამხმარე გემი. შეჭრის ძირითადი ჯგუფის შემადგენლობაშია 2 ავიამზიდი, 7 საესკადრო ნაღმოსანი, 7 სადესანტო ხომალდი და 3 ატომური წყალქვეშა ნავი, რომლებიც ამ რაიონში იმყოფებიან, აგრეთვე 37 „ჰარიერ" ავიაგამანადგურებელ-ბომბდამშენი და 35 სხვადასხვა დანიშნულების ვერტმფრენი.

ოპერაციის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე გაიმართა ტეტჩერის „სამხედრო კაბინეტის" სხდომა, რომელზეც, როგორც რეიტერის სააგენტო აღნიშნავს, მიიღეს გადაწყვეტილება მკვეთრად გააქტიურონ საბრძოლო მოქმედება კუნძულებისადმი ინგლისის კონტროლის დაწესების მიზნით. როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, სამხრეთ ატლანტიკაში განლაგებული ბრიტანეთის სამხედრო-საზღვაო ძალების ოპერატიული შენაერთის სარდალს კონტრ-ადმირალ ვუდვორდს ებრძანა ხელში ჩაიგდოს კუნძულები დესანტთა გადასხმის ტაქტიკის ფართო გამოყენებით.

არგენტინის უმაღლესმა სამხედრო სარდლობამ დაადასტურა, რომ ინგლისის ჯარები შეეცადნენ გადამსხდარიყვნენ ფოლკლენდის (მალვინის) კუნძულებზე. არგენტინის ჯარები იგერიებენ თავდასხმას, ნათქვამია სარდლობის განცხადებაში. არგენტინის სამხედრო წრეებში აღნიშნავენ, რომ მიმდინარეობს ბრძოლები. არგენტინის თვითმფრინავები თავს ესხმიან ინგლისელ მედესანტეებს. ჩამოგდებულია ინგლისის სამი ვერტმფრენი, სერიოზულადაა დაზიანებული ინგლისის ხუთი ფრეგატი.

როგორც ლონდონიდან იუწყებიან, ინგლისის ჯარების მრავალრიცხოვანი სადესანტო ჯგუფების გადასხმა ერთდროულად წარმოებდა კუნძულების სხვადასხვა პუნქტში. ჰაერიდან ბომბავენ და ინგლისის ხომალდები ცეცხლს უშენენ არგენტინის სამხედრო ობიექტებს, მათ შორის ბენზინ-საცავებსა და ტყვია-წამლის საწყობებს.

როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი რეიგანი ინფორმირებული იყო ფოლკლენდის კუნძულებზე ინგლისელთა მოქმედების შესახებ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ სასწრაფოდ სპეციალური სხდომა მოიწვია ფოლკლენდის (მალვინის) კუნძულებზე ინგლისის შეჭრასთან დაკავშირებით.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ხ. პერეს დე კუელიარმა შეწყვიტა მოლაპარაკება ინგლისისა და არგენტინის წარმომადგენლებთან.

შეერთებული შტატები ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მონაწილეობით მიმდინარე მოლაპარაკება ჩიხში მოქცეულიყო იმ იმედით, რომ ეს შესაძლებლობას მისცემს ვაშინგტონს კვლავ გამოვიდეს ინგლისსა და არგენტინას შორის „შუამავლის" როლში და წარმართოს მოლაპარაკება ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთისათვის ხელსაყრელი კალაპოტით. ამასთან ამერიკის ადმინისტრაცია ყოველნაირად ცდილობს გათიშოს არგენტინა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი სხვა ლათინურამერიკული ქვეყნებისაგან.

ბუენოს-აირესიდან მოსული ცნობების თანახმად, რეიგანის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს ფართო კონტაქტები აქვთ დამყარებული გადამდგარ არგენტინელ სამხედროებთან და ამ ქვეყნის სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან, რათა მიაღწიონ პრეზიდენტ გალტიერის მთავრობის დესტაბილიზებას და საჭიროების შემთხვევაში — მის გადადგომას.

მათი ზნე-ჩვეულებანი

მაფია — მინისტრის ზურგს უკან

ვაშინგტონი. ამერიკის შრომის მინისტრის რ. დონოვანის (მას ამ პოსტზე დანიშვნამდე კავშირი ჰქონდა დანაშაულებრივ სინდიკატებთან) საქმე სულ სხვაგვარად შემობრუნდა მისი მაფიელი მეგობრების წყალობით.

სენატის შრომის საკითხების კომისიის თავმჯდომარემ ო. ჰეტჩმა სი-ბი-ესის ტელეკომპანიის კორესპონდენტს აცნობა, რომ კომისიის ერთ-ერთ თანამშრომელს, რომელიც წამყვან როლს ასრულებს ორგანიზებულ დამნაშავეობასთან დონოვანის კავშირ-ურთიერთობის გამოძიებაში, უცნობმა პირმა ტელეფონით დაურეკა და დაემუქრა, ცოლშვილიანად ამოგწყვეტთ, თუ დონოვანს „თავს არ გაანებებთო".

პოლიტიკურ მეთვალყურეთა აზრით, დონოვანი გამოძიებას არ უნდა დაელოდოს და ახლავე გადადგეს. მაგრამ თეთრი სახლი სხვა აზრისაა. შრომის მინისტრის საძრახისი საქმიანობის სკანდალური მხილების მიუხედავად, თეთრი სახლის პრეს-მდივნის მოადგილემ ლ. სპიქსმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ პრეზიდენტი რეიგანი „დონოვანისადმი კვლავაც დიდი ნდობით არის განმსჭვალული".

მეგობრობის კანონით

იუბილის აღსანიშნავად

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება, რომელიც სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავს ეძღვნება. რუსეს ივანე დიმიტროვის სახელობის გემთსაშენებელი ქარხნის კოლექტივმა ღირსსახსოვარი იუბილეს აღსანიშნავად ივალდებულა ვადამდე, დიდი ოქტომბრის დღესასწაულისათვის დაამთავროს სსრ კავშირისათვის გათვალისწინებული ახალი სერიის გემის მშენებლობა.

სურათზე: ბულგარელ და საბჭოთა გემთმშენებელთა ჯგუფი.

ბტა-საქდესის ფოტო.

● ინდოეთი

ექსტრემისტები გააქტიურდნენ

დელი. ულტრარეაქციული მუსლიმანური პარტიის ჯამაათ-ი-ისლამის გააქტიურება დიდ შეშფოთებას იწვევს ქვეყანაში. ინდოეთის კომუნისტური პარტიის ეროვნული საბჭოს აქ გამოქვეყნებულ განცხადებაში აღნიშნულია, რომ ამ მუსლიმანური რეაქციული დაჯგუფების ძირგამომთხრელი საქმიანობა ჯამუსა და ქაშმირის შტატში, რომელიც აღვივებს რელიგიურ-თემურ შუღლსა და სეპარატისტულ განწყობილებებს, ფრიად საშიში გახდა. იგი სერიოზულ საფრთხეს უქმნის ეროვნული ერთიანობისა და დემოკრატიის საფუძვლებს.

ექსტრემისტებს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნიათ მუსლიმანთა შორის ანტიკომუნისტური ისტერიის გაღვივება, ნათქვამია განცხადებაში. ჯამაათ-ი-ისლამის ლიდერები და აქტივისტები აშკარად მოითხოვენ კომუნისტების დევნას, მათს ფიზიკურად მოსპობას.

● სალვადორი

საალყო წესები გრძელდება

სან-ხოსე. სალვადორის კონსტიტუციურმა ასამბლეამ კვლავ გააგრძელა საალყო წესების ვადა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. გაუქმდა ყველა კონსტიტუციური გარანტია, კრებების და პრესის თავისუფლება, აიკრძალა ქვეყანაში მიმოსვლა.

1980 წლის მარტიდან მოყოლებული მმართველი რეჟიმი ყოველთვიურად მიმართავს ასეთ რეპრესიულ ღონისძიებებს. საალყო წესებს მხედრიონი და ულტრამემარჯვენე ბანდები იმისათვის იყენებენ, რომ გაუსწორდნენ უიარაღო მოსახლეობას.

● კენია

ქოლერის ეპიდემია

პარიზი. როგორც ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, 8 კაცი დაიღუპა დასავლეთ კენიაში ქოლერის ეპიდემიის შედეგად. აღრიცხულია ამ სენით დაავადების ახალი შემთხვევებიც.

კენიის მთავრობა, განაცხადა ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს გადამდებ დაავადებებთან ბრძოლის სამმართველოს დირექტორმა, ახორციელებს ეპიდემიის ლოკალიზაციის ღონისძიებებს.

ფაქტის კომენტარი

აძლიერებენ საომარ მზადებას

დამთავრდა ნატოს საბჭოს საგაზაფხულო სესია

ლუქსემბურგში მუშაობა დაამთავრა ნატოს საბჭოს საგაზაფხულო სესიამ ჩრდილოატლანტიკური ბლოკის მონაწილე 15 ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე. იგი ერთგვარად პრელუდიაა ამ ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების შეხვედრისა, რომელიც ბონში გაიმართება მიმდინარე წლის 10 ივნისს. ამ შეხვედრამ უნდა შეათანხმოს მათი საერთო პოზიციები თანამედროვე საერთაშორისო ვითარების უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე. სესიაზე და მის კულუარებში მეტად აქტიურობდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ა. ჰეიგი, რომელიც ცდილობდა მთელი რიგი „ურჩი" ნატოელი პარტნიორები დაეთანხმებინა ვაშინგტონის ადმინისტრაციის აგრესიულ კურსზე.

სესიის დამთავრების შემდეგ გამოქვეყნებული დასკვნითი კომუნიკე არ იწვევს ეჭვს, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და მთლიანად ნატოს ბლოკის მმართველი წრეები აპირებენ კვლავაც გააძლიერონ გამალებული შეიარაღება, რომელიც საფრთხეს უქმნის მშვიდობასა და საერთაშორისო უშიშროებას. იგი აჭრელებულია მილიტარისტული მოწოდებებით ყოველმხრივ გაზარდონ ნატოს ბლოკის „სამხედრო ძლიერება", „ჯეროვან დონეზე" შეინარჩუნონ დაშინების სისტემა.

ატლანტიკელმა მინისტრებმა, რომლებიც „საბჭოთა საფრთხის" მითს იყენებენ მშვიდობის საქმისათვის საშიში თავიანთი გეგმების შესანიღბავად, მხარი დაუჭირეს ვაშინგტონის კურსს, რომელიც ითვალისწინებს საბჭოთა კავშირთან შედარებით სამხედრო უპირატესობის მიღწევას და ქადაგებდნენ სტრატეგიული შეიარაღების გაძლიერების მრავალმილიარდიანი პროგრამების რეალიზაციას. ამით მათ უგულებელყვეს ანტისაომარი მოძრაობა, რომელიც დღითი-დღე ძლიერდება შეერთებულ შტატებსა და დასავლეთ ევროპაში, და ფაქტობრივად „მოიწონეს" ბლოკის მილიტარისტული მზადების განგრძობა და გაფართოება.

ყურადღებას იპყრობს ისიც, რომ მინისტრებმა დაადასტურეს ნატოს განზრახვა დაჩქარებული ტემპით განაგრძონ მზადება ევროპაში საშუალო სიშორის ახალი ამერიკული ბირთვული რაკეტების განლაგებისათვის. ამით მათ არსებითად უგულებელყვეს საბჭოთა წინადადებანი, რომელთა არსია ევროპაში საშუალო სიშორის ყველა ბირთვული საშუალების სრული მოსპობა ან მათი მნიშვნელოვანი შემცირება ორმხრივ საფუძველზე. ლუქსემბურგის სესიის მონაწილეებმა სოლიდარობა გამოუცხადეს აგრეთვე სამხრეთ ატლანტიკაში ლონდონის სამხედრო ავანტიურას.

ამრიგად, ნატოს საბჭომ „ატლანტიკური სოლიდარობის" შენარჩუნებისათვის ამერიკის ადმინისტრაციის ზეგავლენით მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც მიზნად ისახავს არა შეიარაღების შეზღუდვასა და შემცირებას, არამედ მხოლოდ ნიღბავს უგუნური გამალებული შეიარაღების განგრძობას. ეჭვი არ არის, რომ დასავლეთის ქვეყნებში კვლავაც გაძლიერდება მასობრივი ანტისაომარი გამოსვლები, რომელთა მონაწილენი მოითხოვენ ბირთვული ომის საფრთხის თავიდან აცილებას, განიარაღებისა და დაძაბულობის შენელების განმტკიცების პრაქტიკულ ღონისძიებებს.

დღევანდელი ნომრის სტუმარი

მოყვარე

ამ ვარდობისთვეში იგი ისევ ესტუმრა ბავშვობისა და ყრმობის ქალაქს. ხშირად ჩამოდის აქ, ეფერება თბილისს, ახარებს მისი მხარგაშლილობა, გამგზავრებისას კი, რომ იტყვიან, მართლაც აქ რჩება მოყვარული გული ბორის დობროდეევს — ცნობილ კინოდრამატურგს, ახლახან რომ დამდგმელ ჯგუფთან ერთად ლენინური პრემია მიენიჭა სატელევიზიო მხატვრული ფილმის სცენარისათვის „კარლ მარქსი. ახალგაზრდობის წლები".

— სხვათა შორის, დაჯილდოებულთაგან, სამნი „თბილისელები" ვართ, — იღიმება ბატონი ბორისი, — კიდევ ერთი სცენარის ავტორი ამ ფილმისა ანატოლი გრებნიოვი და დამდგმელი რეჟისორი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ლევ კულიჯანოვი. ერთად ვსწავლობდით აქ, ერთად დავდიოდით მუშტაიდის ბაღის განათლების სკოლაში, მოზარდ მაყურებელთა რუსულ თეატრში, თბილისმა შეგვაყვარა ლიტერატურა და ხელოვნება... ჰო, მარლენ ხუციევი არ დამავიწყდეს, ჩემთან ერთად სწავლობდა რკინიგზის მე-5 სკოლაში...

შემდეგ ბედმა დროებით გაგვყარა, მე მოსკოვში გადავედი და „კომსომოლსკაია პრავდის" სპეციალური კორესპონდენტი გავხდი, შემდეგ კი კინემატოგრაფიის საკავშირო სახელმწიფო ინსტიტუტში ჩავაბარე და უკვე იქ შევხვდი „თბილისელ" მეგობრებს. და ბოლოს, 70-იან წლებში ერთად მოგვიწია მუშაობა სატელევიზიო მხატვრულ ფილმზე „კარლ მარქსი. ახალგაზრდობის წლები". ეს, რა თქმა უნდა, სასიამოვნო იყო, რადგან ზედმიწევნით ვიცნობდით ერთმანეთს. ამ ფაქტორს კი, მოგეხსენებათ, ერთობლივი მუშაობის დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

— მაინც როგორ დაიბადა ეს თემა?

— საკავშირო ტელევიზიამ დაგვიკვეთა. შევუდექით მუშაობას, მაგრამ ძალზე გაგვიჭირდა მთავარი როლის შემსრულებლის შერჩევა. ასეთ დროს მარტო ნიჭიერებას არ იკმარებს მაყურებელი, გარეგნული მსგავსებაც იყო საჭირო.

და ბოლოს არჩევანი შევაჩერეთ ვენცესლავ კისევზე — ბულგარელ მსახიობზე, რომელმაც მართლაც ზედმიწევნით დაგვიხატა კარლ მარქსის — ამ დიდი მოაზროვნის ხასიათის ჰარმონიულობა...

— რა თქმა უნდა, ჩვენთვის საინტერესოა თქვენი აზრი ქართულ კინემატოგრაფიაზე.

— ბოლო ოცი წლის მანძილზე ქართულმა კინომ შექმნა რეჟისორების, ოპერატორების, სცენარისტების ძალზე ძლიერი კოლექტივი. ხანდახან ხუმრობით ვამბობ, არიან ერები, რომლებსაც ხელოვნების გრძნობა სისხლში აქვთ-მეთქი. ასევე ითქმის ქართველებზე. დღევანდელი ქართული კინო ძალზე მაღალი დონისაა. აბა, როგორ არ დავასახელო რეზო ჩხეიძე, თენგიზ აბულაძე. მახსოვს, მაშინ „მოსფილმში" ვმუშაობდი მთავარი რედაქტორის მოადგილედ, რეზომ და თენგიზმა „მაგდანას ლურჯა" ჩამოიტანეს და დოვჟენკო მეცხრე ცაზე იყო სიხარულით, რომ ახალი ტალანტები დაიბადა.

ძალზე საინტერესოა ელდარ შენგელაიას ფილმები ხალხური იუმორის დიდი გრძნობით, ეკრანის გრძნობით, ანდა ლანა ღოღობერიძე... მის ბოლო ნამუშევარს ღირსეულად მიენიჭა სახელმწიფო პრემია.

მე მახარებს კინოდრამატურგ რევაზ გაბრიაძის ნიჭიერება. მართალია მას დიდი საქმე უტვირთია — მარიონეტების თეატრს ხელმძღვანელობს, მაგრამ კინოდრამატურგიას არ უნდა უღალატოს.

ქართულ კინოზე საუბრისას თავისთავად მოგინდება ქართული თეატრის ბოლოდროინდელ წარმატებებზე საუბარი. რუსთაველის თეატრის ტრიუმფმა მე და ჩემს მეგობარს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კინოსა და ტელევიზიის ვიცე-პრეზიდენტს გერმან გერლინჰას გვაფიქრებინა გადაღება დოკუმენტური ფილმისა „ბერტოლდ ბრეხტი თბილისში".

ფილმში გვინდა ვაჩვენოთ, თუ რამ გამოიწვია, რომ რუსთაველის თეატრში, ამ ეროვნულ თეატრში აგრერიგად წარმატებით დაიდგა ბრეხტის პიესა.

რახან დოკუმენტურ ფილმზე ჩამოვარდა საუბარი, გეტყვით, რომ 50-ზე მეტი დოკუმენტური სურათია ჩემი სცენარებით შექმნილი. ახლახან დავამთავრეთ „ჩვენ არ ვნებდებით, ჩვენ მივდივართ!" ეს სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმია და ეძღვნება უცხოელ ბავშვებს, რომლებიც საბჭოთა კავშირში აღიზარდნენ. მასში ნაჩვენებია ივანოვოს ინტერნაციონალური საბავშვო სახლი, ესპანელ ბავშვთა სახლი ლენინგრადში. ზოგი ეპიზოდი თბილისშიც კი გადავიღეთ...

— მხატვრული ფილმისათვის თუ გაქვთ რაიმე ახალი ნამუშევარი?

— ვმუშაობ სცენარზე მრავალსერიიანი მხატვრული ფილმისათვის, რომელიც რიჰარდ ზორგეს ეძღვნება. ალბათ გახსოვთ, იყო ამ ადამიანზე ფილმი, რომელიც, ჩემი აზრით, უფრო ბულვარულ-სათავგადასავლო ჟანრისაა. მომავალ ფილმში უნდა წარმოჩნდეს ზორგეს როგორც მეცნიერის, პოლიტიკოსის, ერნსტ ტელმანის ერთ-ერთი თანამებრძოლის საინტერესო ბიოგრაფია.

— ჩვენ ვისაუბრეთ კინოზე, თეატრზე, ჭეშმარიტი პოეზიაც ხომ ხელოვნებაა...

— სიამოვნებით ვკითხულობ ქართული კლასიკური პოეზიის ნიმუშებს. იცოცხლე, ორიგინალში უფრო საგრძნობი იქნება მისი მუსიკალობა.. მუსიკალობაც ხომ ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა ქართველი ხალხისა. სხვათა შორის ქართული ფილმების წარმატებას დიდად უწყობს ხელს მშვენიერი თანხლება ლაღიძის, ცინცაძის, ყანჩელის და სხვათა მუსიკისა. აქ კომპოზიტორები ვახსენეთ, და, როგორ არ მივულოცო ლენინური პრემია ჩემი და ანატოლი გრებნიოვის ბავშვობის მეგობარს, შესანიშნავ კომპოზიტორს ოთარ თაქთაქიშვილს...

• • •

ჩამოსვლის მიზეზი მონატრება ყოფილა, მონატრება ყრმობის ქალაქისა, მონატრება ღვიძლი დის, ჟურნალ „ლიტერატურნაია გრუზიას" თანამშრომლის, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის ლია დობროდეევასი. გუშინ კი უკვე გაემგზავრა სახელგანთქმული კინოდრამატურგი და, როგორც თვითონ ამბობს, აქ ტოვებს ანთებულ სამოყვრო გულს, რათა ისევ მალე გვესტუმროს თბილის-ქალაქის საფერებლად.

ვ. მარდალეიშვილი.

ლექსი და მაისი

ბედნიერება

ელოდებიან,
შეწევნას თხოვენ,
მოდის, სიმწვანეს მოაფოფინებს,
გაახალისებს ყველას და ყოველს
მშვიდად, თანაბრად და გულმოდგინედ
ნაყანარს, ყანას,
ტყესა და ახოს,
ეზოს, ნასახლარს თუ სამოსახლოს;
ბუჩქებს და ხეებს,
ნედლსა თუ გამხმარს,
ციმციმა ბროლს და მარგალიტს ასხამს.
მტრედის გუნდივით ფიქრებს წამოშლის,
ტკბილად ჟღურტულებს ძველ ლაფაროში,
კიკნა ბაღჩაა, თუ ზვარი დიდი,
ყველგან კეთილი ღიღინით მიდის.
ყვავილს თუ ფოთოლს,
დამჭკნარს თუ ლორთქოს,
დაეკიდება ალმასის მძივად...
ბედნიერია ჟუჟუნა წვიმა.

დრო

მე ხშირად ვფიქრობ:
დრო კი არ მიდის,
მიდის სიცოცხლე — ძვირფასი განძი.
დრო? დრო აქ რჩება,
მაგრამ უფრთხილდი! —
მძიმე დაღს ასვამს
ფიქრს, გულს და მანძილს,
რჩება თვალებში სევდად უძიროდ,
სწყდება ბაგეებს წყევლად, ლოცვებად,
ბოლოს,
რამდენიც უნდა უწირო,
საფლავის მიწად აიბორცვება.
მაგრამ დრო რჩება,
დროც რჩება ხოლმე
ფრესკად, ჩუქურთმად, ლექსის პწკარებად,
დრო უქცევია ჩვენს წინამორბედს
ჩვენდა საოხად თუ საწამებლად.
დღეს რომ გვამაღლებს,
დღეს რომ ვიქადნით,
დღეს რომ ვიფიცებთ „ვეფხისტყაოსანს"
ადამის ძეთა ღვთიურ სიმაღლით
რომ მოგვეახლა და გაგვაოცა,
სულია დიდი შემოქმედისა
დროის ტკივილით, ფერიცვალებით,
დრო, ისევ დიდი თამარ მეფისა
ფრესკიდან გვიმზერს მისივ თვალებით.
დრო რჩება!
დროის უკვდავმყოფელი
არის გელათი, სვეტიცხოველი!
დროს გაუფრთხილდი და სულთან ერთად
სცადე უკვდავყო წუთი ყოველი.
ვაზის ჩუქურთმას თუ ვერ გამოჭრი,
მინას ემთხვიე, ნუ დაახანებ
დროში — დილაში თუ საღამოში
მართალი სული ვაზად ახარე!
ხოდაბუნებზე თესე ჯეჯილად,
გუთნის დედურში ჩანან ფერებად,
უკვდავყავ შენი დრო და შენს წილად
დარჩი სინათლედ, ბედნიერად.

სიხარულის ლექსი

რა მზე ჩამოდგა!
სიხარულის ცეცხლი მედება
ამ მზიან დღეს და
ამ სიხარულს რა შეედრება!
ამოხეთქილი ყვავილების ფერად მტევნებად
ეს სიხარული არ მოკვდება,
არ დაბერდება!
ხედავ?
რა რიგად გაანათა ჩვენი ფერდობი!
ამ ალმაფრენის სამუდამოდ
მწამს და ვენდობი!
რაა სიკვდილი-
რა თქმა უნდა,
ჩვენ არ მოვკვდებით,
ამ მოყვავილე ველ-მინდვრებით,
ჭრელი კორდებით.
თეთრი ბილიკი მთვარისფერი
მიდის ზეცაში...
ამ სიხარულში დავილევით განა,
მე და შენ?
გესმის?
რა ტკბილად შრიალებენ ჩვენი ნიფლები!
ჩვენ არ მოვკვდებით,
და თუ ოდეს გარდავიცვლებით,
ქართულ მიწაზე უეჭველად მოვალთ ხელახლა
ამ მობიბინე ყვავილებად,
ნისლად, ვენახად...

მზია ჩხეტიანი.

სოხუმში

პრემიერაა

სოხუმის ქართულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიმართა სპექტაკლ „ქართული პოეზიის საღამოს" პრემიერა. თეატრალური კომპოზიციის ავტორები არიან პოეტები ჯ. ჯანელიძე და გ. კალანდია. სპექტაკლი დადგა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა და დირექტორმა, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, საქართველოს კომკავშირის პრემიისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის „ხუთწლედის მატიანის" ლაურეატმა გოგი ქავთარაძემ, მხატვრულად გააფორმეს დიანა დათუკიშვილმა და ნუგზარ მგალობლიშვილმა.

სპექტაკლში მონაწილეობენ სსრ კავშირის სახალხო არტისტი მ. ჩუბინიძე, საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ სახალხო არტისტები ფ. ბოლქვაძე, ნ. ყიფიანი, ფ. შედანია, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი თ. ბაბლიძე, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები და აფხაზეთის ასსრ სახალხო არტისტები ს. პაჭკორია, გ. რატიანი, საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ დამსახურებული არტისტები ნ. მასხულია, ნ. ქაროსანიძე, ე. ხარაძე, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ნ. ბექაური და სხვები.

მსახიობებმა დასამახსოვრებელი სახეები შექმნეს. სასცენო მოთხრობაში ორგანულად არის შერწყმული ქართული და აფხაზური მელოდიები, რომლებიც ავსებენ პოეტური სიტყვის მუსიკას.

დადგმა გულთბილად მიიღო მაყურებელმა. (საქინფორმი).

„კომუნისტის" ფოტოკონკურსი

„პატარა მუსიკოსი".

ჯ. ლომაძის ფოტო.

ფელეტონი

ანგარი კაცის საზომ-საწონი

ანუ ამბავი უკანონოდ დადგმული ტელეფონების, აწეწილ-დაწეწილი განცხადებებისა და ხვთისოს არაღვთისნიერებისა

ერთხელ პატარა ხვთისო ოსეფაშვილი სკოლიდან ამხანაგებთან ერთად ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის დასათვალიერებლად წაიყვანეს. ექსკურსიამძღოლმა პატარებს დაწვრილებით გააცნო დიდი ილიას ცხოვრება და მოღვაწეობა. გაზეთ „საქართველოს მოამბის" პერიოდზე საუბრისას ისიც გაიხსენა, რომ დიდი ილია საქართველოში კავშირგაბმულობის საქმის მოამაგე იყო, და ნათქვამი კონკრეტული ფაქტით დაადასტურა: 1863 წელს თბილისსა და სტავროპოლს შორის სატელეგრაფო კავშირის გახსნას მისი რედაქტორობით გამომავალი გაზეთი პირველი გამოეხმაურა...

ექსკურსიამძღოლი შეუსვენებლად ლაპარაკობდა ილიას ღვაწლზე, მის დამსახურებაზე მამულის, ხალხის წინაშე, და როცა გაზეთ „ივერიაზე" მიდგა ჯერი, გადახედა მოსწავლეებს და თქვა: განა გაზეთმა „ივერიამ", რომლის რედაქტორი ილია ჭავჭავაძე იყო, პირველად არ აუწყა მკითხველებს თბილისში პირველი სატელეფონო ქსელის მოწყობის ამბავი 1893 წელს? მერე ხომ გაზეთი სისტემატურად აქვეყნებდა, თუ რომელ მოქალაქეს რა დღეს დაედგა ბინაში ტელეფონი? დიახ, ილიასეულ გაზეთს უხაროდა ბინებში სულ ახალ-ახალი ტელეფონების გაყვანა...

ის დღე იყო და ის წუთი, ხვთისოს სულ ტელეფონი ეზმანებოდა. მართლაც საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კავშირგაბმულობისა და ელექტრონიკის ფაკულტეტზე შევიდა და დაამთავრა კიდეც. რამდენიმე წელი იმუშავა საქართველოს კავშირგაბმულობის სამინისტროს აპარატში, ინსტიტუტში მიღებული თეორიული ცოდნა პრაქტიკითაც განამტკიცა და ამის შემდეგ ჩავიდა მშობლიურ ყვარელში და დანიშნეს ყვარლის კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის უფროსად.

— დიდებული საქმე გაკეთდა, ჩვენი ღვიძლი და მკვიდრი დაგვინიშნეს კავშირგაბმულობის კვანძის უფროსად. მოშლილი და დადუმებული ტელეფონები ახლა მაინც ალაპარაკდებიანო, — უხაროდათ ყვარლელებს, მაგრამ ტელეფონების აპარატების უმრავლესობა დუმდა, და ისმოდა გაბმული — „ალო! ალო! ალო!",

— ხომ ხედავ, ხმა არ გადის, სახლის სახურავზე რომ ახვიდე და იქიდან გასძახო, უფრო გააგონებ კაცო, — ეხუმრებოდნენ ერთმანეთს ყვარლელები.

— წუხელ მთელი ღამე გავათიე, სტუდენტ შვილს უნდა დავლაპარაკებოდი მოსკოვში, დაკვეთა მქონდა მიცემული ბატონო, — შესჩივლა უძილობით თვალებდაწითლებულმა კაცმა კვანძის უფროსს, — მაგრამ, თურმე, ჩემი ტელეფონის ხაზი გაფუჭებული ყოფილა, რა მეშველება?

— რაო, ეგეც მე ვიჯავრო, შენ რომ ღამე გაათიე? ვინ გეხვეწებოდა, ამდგარიყავი და დაგეძინა, ვინ გატანდა ძალას? ღამურა ხომ არა ხარ, წადი სახლში და დღე მაინც იძინე.

— შეიძლება ბატონო?

— ერთი ამას დამიხედეთ, კიდევ მომაკითხე? — შეუყვირა ხვთისო ოსეფაშვილმა ხანში შესულ ქალს, — იმ დღეს იყო, დერეფანში ბაზრობდი, როგორ, შენი ტელეფონის ხაზის აღდგენის მეტი საქმე არა გვაქვს? ვინა ხარ, რას წარმოადგენ, რომ სხვებისაგან შენს სამსახურად დაუყოვნებლივ დადგომას ითხოვ.

— ვინა ვარ და ომის ვეტერანი, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, პედაგოგი, ჩვეულებრივი საბჭოთა მოქალაქე ვარ. ბოლოსდაბოლოს მაქვს ტელეფონი, დაზიანებულია და ჩემი განცხადების გარეშე უნდა იცოდეთ ეს, რადგანაც ტექნიკოსები და მეხაზეები საკმაოდ გყავთ.

— აი, შენ როგორც ეს საქმე გესმის, ისე გეცოდინება შენი გაკვეთილები, — თვალები დაუბრიალა ხვთისო ოსეფაშვილმა ა. მ.-ს. (გვთხოვა სახელი და გვარი არ დაგვესახელებინა) რას „ტრიპაჩობ" სადღაცა ყოფილხარ, ვითომ საქმე გიკეთებია. მართლა რომ გეკეთებია რამე, ფრონტიდან ცოცხალი კი არ დაბრუნდებოდი...

შეურაცხყოფილმა ა. მ.-მ გამოიჯახუნა კვანძის უფროსის კაბინეტის კარი და საჩივლელად პირდაპირ გადავიდა პარტიის რაიკომში. რაც შეეხება ტელეფონის ხაზის აღდგენას, ღვაწლმოსილი მანდილოსანი მეკავშირედ მსახურობდა ფრონტზე, გაიხსენა ფრონტული პროფესია და თვითონ აღადგინა ტელეფონის დაზიანებული ხაზი...

შარშან გაზაფხულზე ყვარელში შვიდასნომრიანი მოძველებული დეკადობიჯური ტელეფონების სადგურის ნაცვლად ორიათასნომრიანი თანამედროვე კოორდინატული ავტომატური სატელეფონო სადგური დაამონტაჟეს. 4.000-კომლიანი ყვარელი სიხარულით შეეგება ამ ამბავს. წლის ბოლომდე უნდა დამთავრებულიყო ტელეფონების დადგმა და ორი ათასი აბონენტი ჩაერთვებოდა ახალ ავტომატურ სატელეფონო სადგურში.

შეიქმნა გამანაწილებელი კომისია, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ ყვარლის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე აკაკი სეფაშვილი, სახალხო კონტროლის წარმომადგენელი იულონ ლუკაშვილი, ვეტერანი კომუნისტი თინა გაფრინდაშვილი, კვანძის პარტიული ორგანიზაციის მდივანი რობინზონ შეფიაშვილი და, რა თქმა უნდა, კვანძის უფროსი ხვთისო ოსეფაშვილი. თავმჯდომარედ პარტიის ყვარლის რაიკომის ინსტრუქტორი თამაზ ნაზრიშვილი დანიშნეს. წესიც შეიმუშავეს, რომ უპირველესად დაედგათ ტელეფონები სამამულო ომის ინვალიდებისა და მონაწილეებისათვის, კავშირგაბმულობის მუშაკებისათვის, რომლებსაც ათი წლის მუშაობის სტაჟი აქვთ. შემდეგ კი ტელეფონები დაედგმებოდათ რიგის მიხედვით, უწინარესად მოწინავეებს.

კვანძის უფროსის კაბინეტს მოაწყდა ხალხი, მოსაცდელში ტევა არ იყო, რომ იტყვიან, ხალხი ყირაზე გადადიოდა, ომის მონაწილენი, ყავარჯნიანი ინვალიდები თხოულობდნენ ტელეფონის დადგმას. რას წუხებოდნენ, თავს რად იკლავდნენ? განა კომისია მათს მხარეს არ იყო? სიტყვით კი, მაგრამ საქმით... ახალ ქსელში ჩართეს ისეთი აბონენტები, რომლებსაც არც რიგით, არც სამსახურებრივად და არც დამსახურებით ტელეფონი არ ეკუთვნოდა.

— რა ჩემი ბრალია, — ბობოქრობდა კაბინეტში, კვანძის უფროსი ხვთისო.

— ხვთისო ხარ, თუ ხვთის რისხვა, ნუ დაგვხოცე ნერვიულობით ხალხი, ომს გადავურჩით და შენი მსხვერპლი უნდა გავხდეთ?

იჩივლეს პარტიის რაიკომში, გადააყენეს თ. ნაზრიშვილი და კომისიის თავმჯდომარეობა რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგეს ალექსანდრე გიგილოშვილს დაავალეს. იფიქრეს, ახლა კი გვეშველაო, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, ნათქვამია, ვინც რა უნდა თქვასო, წისქვილმა კი ფქვასო.

ძველი შვიდასნომრიანი სადგურის აბონენტები მთლიანად გადაირთო ახალ სადგურზე და ამას დაემატა სამასამდე ახალი აბონენტიც, გასანაწილებელი დარჩა ათასი ნომერი.

— შემოვა განცხადება კვანძის უფროსის სახელზე. მას ხვთისო ოსეფაშვილი რეზოლუციით დააწერს მთავარ ინჟინერს ვალერიან ლელაძეს დასკვნისათვის: არის თუ არა საშუალება ტელეფონის გაყვანისო. თუ დადებითი დასკვნა იქნა, იგივე განცხადება უბრუნდება კვანძის უფროსს და კვლავ ხვთისო ოსეფაშვილის რეზოლუციით მიუვა ბუღალტერს ტელეფონის დადგმაზე განაწესის დასაწერად. რაიკომიდან გამოგზავნილი განცხადებებიც ასეთივე საფეხურებს გაივლის, თქვა კომისიის წევრმა და კვანძის პარტორგანიზაციის მდივანმა რობინზონ შეფიაშვილმა.

— კი ეგრეა, — დაადასტურა პარტორგის სიტყვები ხ. ოსეფაშვილმა, — მე მგონი, სამამულო ომის ინვალიდები დაკმაყოფილებული უნდა იყვნენ, მაგრამ მონაწილეები კი არიან დარჩენილი უტელეფონოდ. განცხადებებია არეული და ვერ მოვიცალე, რომ წესიერად დავაწყო.

კარგი და პატიოსანი, მაგრამ ამ აწეწილ-დაწეწილ ქაღალდებში მაინცდამაინც ნაცნობ-მეგობრებისა და ე. წ. „საპირო" ხალხის განცხადებები როგორღა მოინახა და საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის ინვალიდ ნუნუ ცქვიტიშვილის თხოვნა კი გაიბნა. ცქვიტიშვილის ოჯახი ხომ 1963 წლიდან არის აღრიცხვაზე? პატივცემულმა ხვთისომ, ეგებ ისიც გაიხსენოს, როგორ ხდება რომ საააბონენტო ყუთი, რომელშიც ჩართულია ზოგიერთი „საპირო" პირის ტელეფონები ჯერ განაწილებული არ არის, მაგრამ მათი ტელეფონი მაინც მუშაობს. ავი ენები ამტკიცებენ, ამგვარი უჩვეულო ამბები მარტო შემთხვევისა და გაუგებრობის შედეგი არ უნდა იყოსო.

ოსეფაშვილიც შეწუხებულია: ვნანობ, კავშირგაბმულობის ფაკულტეტი რომ დავამთავრე, თავი მისკდება ამდენი საჩივრისა და მომსვლელის შემხედვარეს, დავწერე განცხადება განთავისუფლებაზეო.

ალბათ იმიტომ, რომ ყვარლელები ოთარაანთ ქვრივის შთამომავლები არიან, რკინის ქალამნებს ჩაიცვამენ, ხელში რკინის ჯოხს დაიჭერენ და თავს არავის დააჩაგვრინებენ. აკი წერილი სსრ კავშირის კავშირგაბმულობის მინისტრ ვ. შამშინსაც მისწერეს. მან კი ჟურნალ „ვესტნიკ სვიაზის" მიმდინარე წლის მარტის ნომერში დაწერა: „არ უნდა დავუშვათ არც ერთი ისეთი შემთხვევა, როცა ტელეფონების დადგმა არსებული წესის გვერდის ავლით ხდება. ზოგიერთ რესპუბლიკაში ამ მხრივ საგანგაშო მდგომარეობა შეიმჩნევა. უკანონოდ ტელეფონების დადგმისა და ადგილობრივი სატელეფონო ქსელის უხეირო მუშაობაზე მშრომელთა განსაკუთრებით ბევრი საჩივარი მოდის თურქმენეთის, ტაჯიკეთის, უზბეკეთის და საქართველოს რესპუბლიკებიდანო".

არ გაანთავისუფლოთ ხვთისო ოსეფაშვილი თანამდებობიდან, არ დაუჯეროთ, რომ თავი უსკდება. თავი რომ გატეხილი ქონდეს, მაშინ ხომ სახელი შერჩებოდა მთელი, რესპუბლიკის სახელსაც გაუფრთხილდებოდა.

იგი განთავისუფლებაზე გაცილებით მეტის ღირსია.

ბ. ბახტურიძე,
„კომუნისტის" სპეც. კორ.

წიგნის თარო

ბლეზ პასკალი —ქართულად

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ" გამოსცა XVII საუკუნის დიდი ფრანგი მოაზროვნის ბლეზ პასკალის „აზრები". ქართველმა მკითხველმა მიიღო პასკალის შემოქმედებითი მემკვიდრეობის უმნიშვნელოვანესი ძეგლი, რომელიც კარგა ხანია მრავალი კულტურული და განათლებული ერის საკუთრებად იქცა.

საყოველთაოდ ცნობილია ბლეზ პასკალის დამსახურება კაცობრიობის წინაშე. იგი არის მათემატიკოსი; ალბათობის თეორიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, დიფერენციალური და ინტეგრალური აღრიცხვის დიდ აღმომჩენთა (ნიუტონი, ლაიბნიცი) უშუალო წინამორბედი, ფიზიკოსი: ჰიდროსტატიკის, როგორც მეცნიერების ერთ-ერთი დამაარსებელი, კიბერნეტიკოსი: კაცობრიობის ისტორიაში პირველი გამომთვლელი მანქანის შემქმნელი; ფილოსოფოს-მორალისტი; თანამედროვე ფილოსოფიური სკოლებისა თუ მიმართულებების შორეული წინაპარი.

„აზრებში" იშვიათი მხატვრული ძალით არის გადმოცემული ავტორის ეთიკური და ფილოსოფიური მრწამსი.

წიგნი ფრანგულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ბაჩანა ბრეგვაძემ — უცხოური ენების შესანიშნავმა მცოდნემ და უზადო მოქართულემ.

წიგნის რედაქტორია ლ. ალიმონაკი, გამომცემლობის რედაქტორი — ლ. იმერლიშვილი, მხატვარი — ვ. რურუა.

საკვირაო საკითხავი

„კომუნისტის" ინტერვიუ

ეს ცნობის-მოყვარე ტურისტები...

ტურისტები, უმთავრესად, გაზაფხულთან ერთად მოდიან. წლის ამ დროს ჩვენი ქვეყნის რომელ კუთხეში არ გადაეყრებით მოუსვენარ ადამიანთა მხიარულ ჯგუფებს, რუკებითა და ფოტოაპარატებით რომ არიან შეიარაღებულნი...

ტურიზმი რომ სასარგებლო და სასიკეთოა, ყველამ იცის, მაგრამ ბევრმა როდი უწყის, რამდენ თავსატეხსა და საზრუნავს უჩენს ადამიანებს, რომლებიც ამ კეთილშობილურ საქმეს ემსახურებიან. და მაინც, ტურიზმთან დაკავშირებული მრავალი პრობლემა განსაკუთრებით სეზონის გახსნისას იჩენს ხოლმე თავს.

სწორედ ასეთი დროა ახლაც. ამიტომაც მივმართეთ რამდენიმე შეკითხვით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ უცხოეთის ტურიზმის სამმართველოს უფროსს **ლევან მატარაძეს:**

— რა სიახლეებით შეხვდით ახალ სეზონს?

— მოგეხსენებათ, წლევანდელი სეზონი საიუბილეოა და ჩვენც საგანგებოდ მოვემზადეთ. ვცდილობთ, უფრო ფართოდ გავაცნოთ სტუმრებს ჩვენი ქვეყნის სამოცწლიანი მატიანე, ის თუ რა შევქმენით, რას მივაღწიეთ. სწორედ ამას ითვალისწინებს კონკურსები, რომლებსაც რეგულარულად ვატარებთ პროფესიაში საუკეთესოს გამოსავლენად. აქ გამარჯვებულნი საკავშირო კონკურსში მიიღებენ მონაწილეობას.

წლითიწლობით მატულობს ინტერესი საქართველოს მიმართ. ტურისტებს იზიდავს არა მარტო შესანიშნავი ბუნება და უნიკალური ისტორიული ძეგლები, არამედ სახელგანთქმული ქართული სამზარეულოც. ამიტომაც იზრდება ეთნოგრაფიული რესტორნების რიცხვი ჩვენში. უკვე მოიპოვა პოპულარობა ცნობილმა რესტორანმა „მუხრანთუბანმა" თბილისში. ამგვარივე რესტორანი გაიხსნა ჩაქვში, სახელწოდებით „წარსულის ღიმილი", თელავში კი „წისქვილი", რომელიც, თავისი ორიგინალური გადაწყვეტით უთუოდ მიიზიდავს ტურისტებს. თბილისში, სასტუმრო „აჭარაში" გაიხსნება კაფე „თამაში" და სხვა.

ტურისტისათვის მთავარი მაინც სასტუმროა. ქობულეთში უკვე შენდება „კოლხეთი", გათვალისწინებულია ახალი სასტუმროების აშენება სოხუმსა და გაგრაშიც.

— ჩვენში გვიან გაზაფხულზე იწყება ტურისტული სეზონი და შემოდგომაზე თითქმის მთავრდება. არის თუ არა საშუალება, ზამთარშიც გავუმასპინძლდეთ ტურისტებს? ალბათ, ხვდებით „ზამთრის ტურიზმი" რომ გვაქვს მხედველობაში.

— თქვენ წარმოიდგინეთ, ჩვენი უმთავრესი საფიქრალ-საზრუნავიც ეს არის და ყველაფერი უნდა ვიღონოთ საიმისოდ, რომ ტურისტმა ნაგვიანევ ანდა ნაადრევ, გნებავთ, წინდაუხედავ მოგზაურად არ იგრძნოს თავი. უნდა შევიძლოთ, წელიწადის ნებისმიერ დროს მივიღოთ ტურისტები და რიგიანადაც გავუმასპინძლდეთ. ჩვენ ჯერ კიდევ მრავალი ადგილი გვაქვს აუთვისებელი. მაგალითად, წყალტუბო, თელავი და სხვ.

— რამდენ ტურისტს ემსახურებით ყოველწლიურად?

— შარშან 200.000-მდე ტურისტი მივიღეთ, უმთავრესად სოციალისტური ქვეყნებიდან. ბევრი ტურისტი ჩამოვიდა ფინეთიდან, საფრანგეთიდან, კანადიდან, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან და სხვა ქვეყნებიდან. ისინი არა მარტო ქვეყნის გასაცნობად ჩამოდიან აქ, არამედ ისვენებენ და მკურნალობენ კიდევაც.

ი. კუკავა.

წარმატებული დებიუტი

ბაქო. აზერბაიჯანის საოპერო სცენაზე წარმატებით გაიმართა ახალგაზრდა ქართველი მომღერლის ანზორ ფიოლიას დებიუტი. იგი გამოვიდა ვერდის ოპერა „ოტელოს" მთავარ პარტიაში. ოპერა მ. ფ. ახუნდოვის სახელობის აკადემიურ თეატრში დადგა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა დ. ალექსიძემ.

სპექტაკლის დირიჟორმა, აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ რ. აბდულაევმა აღნიშნა ვოკალისტის დიდი ნიჭი, რომელმაც შექმნა ოტელოს შთამბეჭდავი სახე. მსმენელები, თქვა მან, მოხიბლა ანზორის ლამაზმა, ძლიერმა ხმამ, რომელიც თანაბრად ჟღერდა ყველა რეგისტრში, მისმა არტისტიზმმა. დარწმუნებული ვარ, რომ მომღერალს დიდი მომავალი მოელის.

ყაბახი

პრიზს რუმინელები დაეუფლნენ

გუშინ თბილისში, ლენინური კომკავშირის სახელობის ცენტრალურ წყალსაჯომარდო-სპორტულ კომპლექსში დამთავრდა წყალბურთელთა მეოთხე ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პრიზზე. შეჯიბრების ბოლო შეხვედრებში ასეთი შედეგები აღინიშნა: რუმინეთი-ჰოლანდია — 12:10, სსრკ I-ესპანეთი — 6:6, სსრკ II-შვეცია — 11:6, კუბა-საქართველო — 12:10.

ტურნირი ყველაზე უკეთ ჩაატარეს რუმინელებმა. მათ 12 ქულა დააგროვეს და საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პრიზს დაეუფლნენ. სსრ კავშირის I ნაკრები 11 ქულით მეორე ადგილზე გამოვიდა. მესამე საპრიზო ადგილი წილად ხვდათ ესპანელებს — 10 ქულა. მომდევნო ადგილებზე არიან სსრ კავშირის II, კუბის (7-7 ქულა), ჰოლანდიის (5), საქართველოს (4), და შვეციის (0) ნაკრები კოლექტივები. **შეჯიბრების საუკეთესო ბომბარდირი იყო 19 წლის რუმინელი წყალბურთელი ვლად ხაჯიუ, რომელმაც 7 მატჩში 32 ბურთი გაიტანა.**

ჭადრაკის დაფებთან

მოსკოვში მიმდინარე ვაჟთა საერთაშორისო შეჯიბრების რვა ტურის შემდეგ 5,5-5,5 ქულით დაწინაურდნენ ვაჰანიანი და ტალი. ანიკაევს, კნააკს (გდრ), რაზუვაევს და ჩეხოვს 5-5 ქულა აქვთ.

მინსკში, ვაჟთა საერთაშორისო ტურნირზე გათამაშდა 10 ტური. აქ ლიდერობს ჩანდლერი (ახალი ზელანდია), რომელსაც 7 ქულა აქვს.

საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა პირველობის (უმაღლესი ლიგა) მეთორმეტე ტურში გათამაშების ლიდერმა გ. გიორგაძემ მოსაგებ პოზიციაში გადადო პარტია თორიასთან. ზაიჩიკმა მოუგო გოგეშვილს, ჩაჩიბაიამ — ხეცურიანს. ბაღათუროვმა — პ. გაფრინდაშვილს. გედევანიშვილი და ლომაია ყაიმზე შეთანხმდნენ. დანარჩენი პარტიები გადაიდო. 12 ტურის შემდეგ 8-8 ქულა მოაგროვეს გენადი ზაიჩიკმა და გია გიორგაძემ. ამასთან გიორგაძეს დასამთავრებელი აქვს ორი გადადებული პარტია, რომელშიც სავარაუდოა, რომ 1,5 ქულას მოაგროვებს. მომდევნო 5 ტურში გიორგაძე ერთხელ ისვენებს, ზაიჩიკმა კი ხუთივე შეხვედრა უნდა გამართოს. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ზაიჩიკისა და გიორგაძის პირად შეხვედრას მეთოთხმეტე ტურში.

სატურნირო ორბიტა

ძალოსნობა. დნეპროპეტროვსკში მიმდინარე საკავშირო ჩემპიონატში 82,5 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში პირველობა მოიპოვა დონეცკელმა ა. პერვიიმ. მან ორჭიდში 382,5 კგ დააგროვა. ამავე წონითი კატეგორიის ძალოსანმა გროზნოელმა ი. არსამაკოვმა ატაცში მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 179 კგ. ოთხი მსოფლიო რეკორდით დაამთავრა შეჯიბრება ლენინაკანელმა სპორტსმენმა ი. ვარდანიანმა (90 კგ-მდე წონითი კატეგორია), ატაცში მან ჯერ 188 კგ. დაძლია, შემდეგ — 190. ორჭიდში მისი სარეკორდო მაჩვენებელია 415 კგ, ხოლო აკვრაში (დამატებით ცდაზე) 228 კგ. ლენინაკანელი სპორტსმენის ეს შედეგები მართლაც რომ ფენომენალურია.

ველოსპორტი. მშვიდობის ველორბოლის მეათე ეტაპი (ოდერის ფრანკფურტი-ნოიბრანდენბურგი, 198 კმ) მოიგო ოლაფ ლუდვიგმა (გდრ). მან ეს ტრასა გაიარა 4 საათში, 39 წუთსა და 47 წამში.

შაში. ფოთში დასასრულს მიუახლოვდა საერთაშორისო შაშში ქალთა საკავშირო ჩემპიონატი. თორმეტი ტურის შემდეგ 8 ქულით ლიდერობს მინსკელი ე. ალტშული.

ფეხბურთი. ფინეთში დაიწყო ევროპის ჩემპიონატი იუნიორთა (18 წლამდე ასაკის ფეხბურთელებს შორის) გუნდებს შორის. ქალაქ სალოში სსრ კავშირის ნაკრებმა პირველი მატჩი ავსტრიელებთან გამართა და გაიმარჯვა ანგარიშით 4:1.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი

ტელევიზია

23 მაისი

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია", 9.45 — „სიმღერით ვცხოვრობთ და ვაშენებთ". კინოკონცერტი, 10.30 — მაღვიძარა, 11.00 — „ვემსახურები საბჭოთა კავშირს", 12.00 — ჯანმრთელობა, 12.45 — „დილის ფოსტა", 13.15 — საბჭოთა კავშირი უცხოელი სტუმრების თვალით, 13.30 — სოფლის საათი, 14.30 — მუსიკალური კიოსკი, 15.00 — ფილმ-სპექტაკლი ლ. ლეონოვის რომანის „რუსული ტყის" მიხედვით, 17.25 — კინომოგზაურობის კლუბი, 18.25 — მულტფილმები, 19.00 — საერთაშორისო პანორამა, 19.45 — ცხოვრების საგზური, 20.35 — ცირკის წარმოდგენა „კომკავშირი, სიყვარული და გაზაფხული", 22.00 — „ვრემია", 21.35 — ცირკის წარმოდგენის გაგრძელება, 23.45 — საფეხბურთო მიმოხილვა, 00.15 — მშვიდობის ველორბოლა, 00.35 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში, 9.20 — მხატვრული ტელეფილმი „ჩემი ცოლი ბებიაა", 10.25 — ახალგაზრდების მისამართები, 11.05 — ქ. აშხაბადის პიონერთა სასახლის ბავშვთა მხატვრული კოლექტივების გამოსვლა, 12.05 — ცხოველთა სამყაროში, 13.05 — გამარჯვებულნი, 14.35 — დოკუმენტური ტელეფილმი „ამერიკა — ათი წლის შემდეგ", 15.40 — გვიამბობენ ჩვენი კორესპონდენტები. მიმოხილვა, 16.10 — ძალოსნობა, 16.40 — მხატვრული ტელეფილმი „ღია წიგნი". მეორე ფილმის მეორე სერია, 18.00 — ფეხბურთი. მოსკოვის „დინამო" — „ფახთაქორი", 19.45 — დიდი ოქტომბრის 65-ე წლისთავისათვის. „ჩვენი ბიოგრაფია". მე-20 ფილმი — „1936 წელი", 20.45 — „ძილი ნებისა, პატარებო!", 21.00 ფეხბურთი. მინსკის „დინამო" — „შახტიორი". II ტაიმი, 22.00 — „ვრემია", 22.35 — მხატვრული ფილმი „ჩანჩქერი".

23 მაისი

თბილისი

პირველი პროგრამა: 9.00 — „ვრემია" (მ.), 9.40 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ერთსა ყვავსა ყვანჩალასა", 10.00 — „მოამბე", 10.30 — შევისწავლოთ რუსული ენა, 11.00 — სამეურნეო მექანიზმი — სიახლენი, პრობლემები" (განმეორებით), 11.45 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ფრინველები ბუდეში", 12.00 — „ჯანმრთელობა" — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (მ.), 12.45 — „ცეროდენას ეკრანი", 13.10 — ქართული ენისა და ლიტერატურის ტელეკურსი (სტუდიაშია დოცენტი თ. კვაჭანტირაძე), 13.40 — „მულტპანორამა", 14.35 — „ხალხური შემოქმედება" — „ათი ხალხური სიმღერა", 15.45 — „ილუზიონი", 17.35 — „ვესტნიკი", 18.05 — „კინოფანტაზია", 18.30 — მოსწავლეთათვის — „მე კომკავშირელი ვარ", 19.00 — სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში ერევნის „არარატი" — ქუთაისის „ტორპედო" რეპორტაჟი ერევნიდან. შესვენების დროს — ზღაპრის გუდა, 20.45 — „მოამბე", 21.15 — მღერის პაატა ბურჭულაძე, 22.00 — „ვრემია" (მ.), 22.35 — მუსიკალური გადაცემა „ი. ჰაიდნი" (დაბადების 250 წლისთავის გამო), 23.35 — „ჩვენი ანონსი", 23.45 — საფეხბურთო მიმოხილვა" (მ.).

КОМУНИСТИ ИНДЕКС   უე 08279   საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. 14.   იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29.   1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20